ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიშა მშვილდაძეს თავს დაესხნენ



ოთხშაბათი, 28 ივნისი, 2023 №125 (9161) ფასი: 80 თეთრი

# „სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილისთვის გადარჩენის ერთადერთი კარტია“



თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილს თუ დასჭირდა, სააკაშვილსაც შეაწყალებინებს, მაგრამ ჯერ დასავლეთთან სავაჭროდ სჭირდება“



გვ.2

## დავით ჭიჭინაძე: „2020 წლის არჩევნების შედეგები დასავლეთს რომ არ „გაეპრავებინა“, „ოცნება“ ამდენს ვერ გაბედავდა“

გვ.3



## „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ორივე უნდა მოშორდეს პოლიტიკურ პროცესებს“

## ევროკავშირის სანქციების მე-11 პაკეტი ამოქმედებულია

ვაშინგტონის, ლონდონისა და ბრიუსელის წარმომადგენლები საქართველოში სანქციების შესრულების საკითხს განიხილავენ

გვ.4




## პრემიერ-მინისტრი ევროკავშირის სანქციების განხორციელების საკითხებში საერთაშორისო სპეციალურ წარმომადგენელს და სანქციების საკითხებში აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებს შეხვდა



გვ.4



## ვახტანგ გომელაური უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, შანდორ პინტერს შეხვდა

გვ.2




## კასპში კაცი მცირეწლოვან ბავშვებს აჩხუბებდა და ვიდეოებს უღებდა

გვ.5

## ქართველ ქალს თურქულმა სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

4 დენდროლოგიური პარკი ბერა ივანიშვილმა დედას ეკატერინე ხვედელიძეს გადაუფორმა

2 შალვა პაპუაშვილი: „დენდროლოგიური პარკი მიზიდულობის წერტილად იქცა და ახლა ამ იდეის გაუფასურება უნდათ“

3 ამერიკის დაზვერვამ პრიგოჟინის ამბოხზე წინასწარ იცოდა

6 პუტინის სენსაციური აღიარება

# „სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილისთვის გადარჩენის ერთადერთი კარტია"

ნონა ცაბაძე

## თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილს თუ დასჭირდა, სააკაშვილსაც შეაწყალებინებს, მაგრამ ჯერ დასავლეთთან სავაჭროდ სჭირდება"

*„ახალი თაობის" კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.*

***– ქალბატონო თაკო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ? ხელისუფლებამ პრეზიდენტის ლანძღვას მოუხშირა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია შეიწყალა. პრეზიდენტმა ეს გააკეთა დეპოლარიზაციისთვის, თუმცა „ოცნება" ამტკიცებს, ამით პოლარიზაცია გააღრმავაო. რას ცდილობს „ქართული ოცნება", რას ემსახურება მისი განცხადებები?***

– არაფერი არ გააღრმავა, პირიქით, ძალიან კარგი რამ გააკეთა. მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით და ვთვლი, რომ პრეზიდენტს ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ მიუღია.

***– რას გულისხმობთ?***

– ეს არის ივანიშვილის მიერ სათავისოდ გადადგმული ნაბიჯი. მას დასავლელმა პარტნიორებმა მოსთხოვეს ამის გაკეთება. დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთთან საურთიერთოდ, მას შემონახული ჰყავს პრეზიდენტი ზურაბიშვილი. სალომე ზურაბიშვილს დამოუკიდებელ პრეზიდენტად არ აღვიქვამ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ სალომე ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით მოქმედებს?***

– აუცილებლად. ამაში ეჭვი არ მეპარება. სალომე ზურაბიშვილი არის ივანიშვილისთვის გადარჩენის კარტი, რომელიც შემოინახა დასავლეთთან საურთიერთოდ.

***– ნიკა გვარამიას შეწყალებაც ბიძინა ივანიშვილთან იყო შეთანხმებული?***

– აუცილებლად! ნაბიჯს ვერ გადადგამს ისე სალომე ზურაბიშვილი. მე ასე ვხედავ ამ ყველაფერს.

***– ამის მიუხედავად, ნიკა გვარამიას შეწყალება, პრეზიდენტის მხრიდან დადებითი ნაბიჯი იყო.***

– რა თქმა უნდა. დადებითი კი არა, თქვენ იცით, მე როგორ ვიბრძოდი ამ საკითხისთვის და როგორ მივესალმები ნიკას გამოშვებას. ადამიანი, რომელიც საერთოდ არაფრის გულისთვის არ იჯდა. ეს იყო ძალიან კარგი და სწორი გადაწყვეტილება. ნიკამ ძალიან კარგი და სწორი შეფასება გააკეთა თვითონ, რომ ჩემთვის არ გაუკეთებია ესო, ქვეყანას გაუკეთაო. ვხედავთ, რუსეთი როგორ მარცხდება,



**„პრიგოჟინს კი არ ვგულშემატკივრობდით, ჩვენ რუსეთში არეულობას და მათ დასუსტებას ვგულშემატკივრობდით. როცა რუსეთი სუსტდება, იმარჯვებს დასავლეთი. ჩვენ სწორედ ეს გვიხაროდა."**

ყველა ვხედავთ, იქ რა სიტუაციაა და ჩვენ თუ ვხედავთ ამას, ივანიშვილი ვერ ხედავს?! შესაბამისად, მას სალომე ზურაბიშვილი შემონახული ჰყავს დასავლეთისთვის. დრო აჩვენებს, კიდევ რა გადაწყვეტილებას მიაღებინებს სალომე ზურაბიშვილს ივანიშვილი. ეს მითითება სალომემ მიიღო ივანიშვილისგან, მის გარეშე, სალომე ვერც გაინძრეოდა.

***– პრეზიდენტმა ვეტო დაადო საარჩევნო კანონს, პრობლემები შეუქმნა „ოცნებას" და ამას რითი ხსნით?***

– კი, ბატონო, დაადო, თუმცა კარგი იქნებოდა, პირდაპირ ვენეციის კომისიისთვის გადაეგზავნა. ამ ვეტოს დაძლევს „ოცნება". ამიტომ მე მაინც ივანიშვილის თამაშის ნაწილი მგონია ეს ყველაფერი. თავის გადარჩენას ცდილობს ახლა ბიძინა ივანიშვილი.

***– რამდენად გვემუქრება სანქციები?***

– მე ხშირად მაქვს ხოლმე შეხვედრა დიპლომატებთან და ისინი ხალხის მიმართ ძალიან კარგად არიან განწყობილი. ამიტომ, მე მაინც მგონია, რომ იქნებ ქვეყანა გადარჩეს და ეს იყოს პერსონალური სანქციები. თუ ესენი გააგრძელებენ ასე მოქცევას, რა თქმა უნდა, დასანქცირდებიან. ველოდები უფრო პერსონალურ სანქციებს.

ბიძინა ივანიშვილი უკვე ღიად ხედავს რუსეთის მარცხს. მას ძალიან ეშინია. თავად ისეა მიბმული ფინანსური შემოსავლით და ყველაფრით რუსეთთან, რომ მას საკუთარი თავის გამო უფრო ეშინია. ახლა რომ დაიხვია ხელზე „ოცნებამ" ოპოზიცია პრიგოჟინს გულშემატკივრობდით,. პრიგოჟინს კი არ ვგულშემატკივრობდით, ჩვენ რუსეთში არეულობას და მათ დასუსტებას ვგულშემატკივრობდით.

***– ოპოზიცია ამჩატდა და ძალიან არასერიოზულად მოიქცაო, აცხადებენ „ოცნების" ლიდერები.***

– ისევ დემაგოგიისკენ მიდის „ოცნება". რა შუაშია აქ პრიგოჟინი. ჩვენ ვგულშემატკივრობდით არეულობას, დაქსაქსულობას და რუსეთის დასუსტებას. რა მიხვედრა უნდოდა ამას. იმ სიტუაციაში, როცა რუსეთი სუსტდება, იმარჯვებს დასავლეთი. ჩვენ სწორედ ეს გვიხაროდა.

***– რას გამოიწვევს რუსეთში განვითარებული პროცესები?***

– რუსეთის დასუსტებას და საბოლოოდ ჩამოშლას. ძალიან მალე დადგება ის დრო, რომ ვიხილოთ იმპერიის მსხვრევა. ჩვენ მომზადებულები უნდა შევხვდეთ. უნდა ვიმოქმედოთ გონივრულად და ჭკვიანურად. სიფრთხილე საჭიროა, მაგრამ ეს შიში ლაჩრობაში კი არ უნდა გადავიდეს.

***– ქალბატონო თაკო, ამ პროცესების შემხედვარე, რამდენად სწორად იქცევა ოპოზიცია? ვისმენთ მოწოდებებს ერთობისკენ. სააკაშვილიც აქტიურობს ამ კუთხით, თუმცა არ ვიცით, რას აპირებს ოპოზიცია. იდგმება ნაბიჯები ერთობისკენ?***

– არა, არ იდგმება. ზუსტად იმ თემას მიადექით, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მუდამ ვუკიჟინებ ოპოზიციას გაერთიანებისკენ. სულ ვამბობდი და ისე აგიხდათ ყველაფერი! ხომ ავიდა 25%-ზე ნაციონალური მოძრაობა?! მე ვიცნობ ამათ ამომრჩეველს, ელექტორატს ვიცნობ ნაციონალური მოძრაობის. ძალიან მედასავლეთეები არიან.

***– ხომ არ დადგება იმის საფრთხე, რომ კვლავაც შუა გაიკრიფოს და ნაცებად და „ქოცებად" დაიყოს საარჩევნო ველი?***

– არა, ასე არ ვუყურებ ამ საკითხს. „ლელო" ძვრასაც ვერ უშვრება საკუთარ რეიტინგს. 3-4%-იანი პარტია რომ ხარ და 25%-იანს რომ ეუბნები, მინუს 600 ათასიო, ამით ხომ ასხამენ ხელისუფლების წისქვილზე წყალს?! მე ვამბობ, რომ პარტიული გაერთიანება კი არა, გაერთიანება 12 პუნქტისთვის! ახლა გავერთიანდეთ და პარტიულ ბრძოლაში, ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს. ვისაც რის თავი აქვს, ის აჩვენოს. გაგიგონიათ თქვენ, რომ შენ გაქრი, მაღალი პროცენტი რომ გაქვს და მე, დაბალპროცენტიანი რომ ვარ, შენ რომ გაქრები, მაშინ ამოვყოფ თავსო. ასეთი რამ გსმენიათ?! ამაზე შეთანხმება გაგიგონიათ პოლიტიკაში?! ეს ხომ არასერიოზულია! თუ რამის თავი აქვთ, თვითონ გააკეთონ. გამოდიან და მინუს ნაცებიო. მინუს პუტინი ვიცი მე და მინუს ეს ხელისუფლება ვიცი მე!

***– რა მოლოდინი გაქვთ? მიიღებს ოპოზიცია ადეკვატურ და საღ გადაწყვეტილებას?***

– ყველაფერს ვცდილობ და ვიბრძვი ამისთვის. არ მიიღებენ და რა ვუყო. სწყინთ, სიმართლეს რომ ეუბნებიან. ჩემი რჩევაა, რომ გავერთიანდეთ. ახლა არის გაერთიანების დრო. პასუხისმგებლობას, გარკვეულწილად, ვერც ოპოზიცია ვერ მოიხსნის. ხელისუფლების პასუხისმგებლობა თუ არის 100%-ით, რაღაცა დოზით ოპოზიციის პასუხისმგებლობაც იქნება, რომ არ ერთიანდები და მუდმივად ასხამ ხელისუფლების წისქვილზე წყალს. არჩევნებიო, რომ გაიძახიან, თუ საარჩევნო სისტემა არა გვაქვს რეფორმირებული, იგივე საარჩევნო სისტემაში მიყვებიან ივანიშვილს?! მერე ისევ უნდა გამოვიდნენ და იყვირონ, რომ გაყალბდა?!

***– თქვენ ბრძანეთ, რომ ივანიშვილი თავის გადარჩენას ცდილობს და სწორედ მისი დავალებებით მოქმედებს სალომე ზურაბიშვილიო. თუკი ივანიშვილს სასიცოცხლოდ დასჭირდა და დადგა დღის წესრიგში აუცილებელ საკითხად, როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილსაც გააშვებინებს სალომეს?***

– აბა რას იზამს! რა თქმა უნდა, არის ამაზე წამსვლელი. სააკაშვილი, როგორც ბოლო მსხვილი ლუკმა, აი ასე აქვს შემონახული. ეს ერთ-ერთი კარტია ივანიშვილის გადარჩენის. ფაქტია, ამას დასავლეთთან სავაჭროდ ინახავს.

## შალვა პაპუაშვილი: „დენდროლოგიური პარკი მიზიდულობის წერტილად იქცა და ახლა ამ იდეის გაუფასურება უნდათ"



– ესეც არის სწორედ იმის ნაწილი, რომ ადამიანებში საკითხების მიმართ არასწორი დამოკიდებულება შემოიტანონ. ის, რა მიზანსაც ემსახურება დენდროლოგიური პარკის შექმნა, ის ინვესტიცია, რაც ჩაიდო დენდროლოგიური პარკის შექმნაში და არა მხოლოდ, თავად ამ პარკის შექმნის იდეა, ნახეთ კიდევაც, რამდენად მიზიდულობის წერტილად იქცა, ამ იდეის გაუფასურება უნდათ, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

როგორც შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ყველა საქველმოქმედო პროექტი ჩვენს ქვეყანას ხმარდება. მისი თქმით, დენდროლოგიური პარკი მას შემდეგ, რაც ქონების გადაცემის ყველა პროცედურას გაივლის, ჩვენს ქვეყანას გადაეცემა.

– თავისთავად, ის პროექტები, რასაც ბიძინა ივანიშვილი ახორციელებს, ეს ხომ არ არის პირველი საქველმოქმედო ხასიათის პროექტი, საბოლოოდ, ჩვენს ქვეყანას ხმარდება. ვიცი, რომ ეს საბოლოოდ ჩვენი ხალხისთვის არის გამიზნული და ასეც იქნება. ყველაფერს თავისი ეტაპები აქვს, მათ შორის, ქონების გადაცემის საკითხს.

ეს პარკი, ჯერ კიდევ, შექმნის პროცესში არის. ის თავის დროზე გადაეცემა ისევ სახელმწიფოს, როგორც ეს თავიდანვე იყო გაცხადებული. მთავარია, რომ გაცხადებული მიზანი რაც არის, ამ დენდროლოგიური პარკის შექმნა, ზუსტად ამ მიზნის მიხედვით მოხდება ყველა ეტაპის გავლა. თქვენი რეპორტაჟებიდანაც გავიგეთ, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს ამ პარკის ექსპონატებით შევსება. მნიშვნელოვანია, რომ 3 მილიარდზე მეტი ქველმოქმედება გასწია ბიძინა ივანიშვილმა და ეს არის სწორედ, რაც, მე მგონი, თქვენც უნდა აღნიშნოთ, რომ ასეთი დიდი საქმეები კეთდება მისი მხრიდან უამრავი. როდესაც ხდება მცდელობა მედიის მხრიდან, ოპოზიციის მხრიდან, რომ საზოგადოებაში შეიტანონ ეჭვი, დაბნეულობა და კონსპირაციები შექმნან, ეს არის ამ კამპანიის ნაწილი, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ნიუპრესი

## ვახტანგ გომელაური უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, შანდორ პინტერს შეხვდა



შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთში – თამარ ლილუაშვილი.

შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ ორმხრივ თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

შეხვედრის ფარგლებში ხაზი გაესვა საქართველოსა და უნგრეთის მთავრობებს შორის სამართალდაცვით სფეროში არსებულ ორმხრივი შეთანხმებების მნიშვნელობას და მათი ეფექტურად განხორციელების მიზნით, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს.

მხარეებმა, ასევე, გამოხატეს მზაობა, განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები უწყებებს შორის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ვახტანგ გომელაურმა უნგრელ კოლეგას მიაწოდა დეტალური ინფორმაცია სამინისტროში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრს მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მხარეთა შორის გაგრძელდება ინტენსიური თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით.

უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ, ბუდაპეშტში, ქართული დელეგაციის პატივსაცემად, ოფიციალური სადილი გაიმართა, სადაც სტუმრებს უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, შანდორ პინტერმა უმასპინძლა.

## ლუკაშენკო: „დიახ, პრიგოჟინი დღეს ბელარუსშია"



ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო ადასტურებს, რომ „ვაგნერის" დამფუძნებელი ევგენი პრიგოჟინი ბალარუსში 27 ივნისს ჩავიდა და ის ახლა ქვეყანაშია – „დიახ, მართლაც, ის დღეს ბელარუსშია" – ამბობს ლუკაშენკო.

როგორც BBC, ბელარუსულ გამოცემაზე დაყრდნობით წერს, პრიგოჟინის კერძო თვითმფრინავი მაჩულიშის სამხედრო აეროდრომზე მინსკის მახლობლად დაეშვა.

შეგახსენებთ, შაბათს საღამოს, როდესაც ლუკაშენკოს შუამავლობით პრიგოჟინსა და კრემლს შორის აჯანყების დასრულების შესახებ შეთანხმება დაიდო, გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრიგოჟინი ბელარუსში მიემგზავრებოდა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ორივე უნდა მოშორდეს პოლიტიკურ პროცესებს“

## დავით ჭიჭინაძე: „2020 წლის არჩევნების შედეგები დასავლეთს რომ არ „გაეპრავებინა“, „ოცნება“ ამდენს ვერ გაბედავდა“

ნათია ხურცილავა

**„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე აკეთებს აქცენტს.**



*– ბატონო დავით, „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, ოპოზიცია ქმნის ფონს, რომ მათი ხელისუფლების პირობებში ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი არ მოგვცეს. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?*

– ევროკავშირი სტატუსს აუცილებლად მოგვცემს. ლოგიკურად ეს პროცესი ასე უნდა დასრულდეს. იმიტომ კი არ მოგვცემენ, რომ ამას „ქართული ოცნება“ იმსახურებს ან ხელისუფლებამ 12-ვე პუნქტი პირნათლად შეასრულა. ცხადია, არა! სტატუსს იმსახურებს ხალხი და ეს ქვეყანა.

როდესაც საქართველო მიიღებს სტატუსს, ყველასთვის გასაგები იქნება, რომ მისი მიღება არ იქნება ხელისუფლების დამსახურება, რომ სტატუსი ქართველმა ხალხმა მიიღო, რომ ხალხმა დაიმსახურა.

„ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ ქვეყანამ სტატუსი არ მიიღოს. ხომ ხედავთ, როგორ არღვევს არსებულ შეთანხმებასაც კი. თუნდაც, რაც მოხდა ცესკოს დაკომპლექტებასთან, საარჩევნო კანონთან დაკავშირებით. პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა, ეს ყველაფერი სტატუსის მიღების საწინააღმდეგოდ მუშაობს და არა პირიქით. ან რაც მოჰყვა ნიკა გვარამიას გათავისუფლებას, ვინმე ფიქრობს, რომ ეს ხელს შეუწყობს ევროკავშირში ინტეგრაციას?! რაც ატეხეს, ის პრეზიდენტის წინააღმდეგ კი არა, მათ წინააღმდეგ იმუშავებს. ამდენი ხომ უნდა ესმოდეთ.

*– ექსპერტები აცხადებენ, რომ დასავლეთს საქართველო რეგიონში, როგორც სანდო პარტნიორი, მოკავშირედ სჭირდება და ამიტომ მოგვცემენ სტატუსს.*

– დიახ, რასაკვირველია, სწორედ ასეა. საქართველოს ამ რეგიონში, სამხრეთ კავკასიაში ბუნებრივი მისწრაფება ჰქონდა საუკუნეების მანძილზე და აქვს დასავლეთისადმი. ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაა. საქართველო არის რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ნაწილია. ეს ძალიან კარგად ესმით ევროკავშირის ლიდერებს. ეს რომ არ ესმით „ქართული ოცნების“ ლიდერებს, ბევრს არაფერს არ ნიშნავს. ამიტომაც ვართ ჩვენ დასავლეთის ბუნებრივი მოკავშირეები.

*– ამიტომაც ევროკავშირი საქართველოსთან დაკავშირებით პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს?*

– დიახ.

*– ბატონო დავით, ერთ წელიწადში სერიოზული არჩევნებია. „ქართული ოცნება“ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის კიდევ ერთხელ იბრძოლებს?*

– რა თქმა უნდა. რა ეტყობათ, რომ არ იბრძოლებენ. აქ არ შემიძლია, დასავლეთის უარყოფით როლზე რომ არ ვთქვა. 2020 წლის არჩევნების შედეგები დასავლეთს რომ არ „გაეპრავებინა“, „ოცნება“ ამდენს ვერ გაბედავდა. ახლა გათამამებული ბავშვებივით არიან და ყველაფერზე მიდიან.

*– ამჯერად შეძლებენ?*

– ყველაფერს შეძლებენ, რადგან ოპოზიცია ისეთია, როგორიც არის. ხომ არაფერი შეცვლილა ოპოზიციაში. ისევ მიდის კულუარული მოლაპარაკებები, ისევ მორიგება-გარიგება.

*– რაზე?*

– რამდენიმე სკამი მიიღონ მომავალ პარლამენტში. ხომ ხედავთ, როგორ არიან გაჩუმებულები 5-პროცენტიან ბარიერზე, რომელიც არავის არ აწყობს, გარდა იმ პარტიისა, რომელიც ხელისუფლებაშია. რატომ არ იბრძვის ოპოზიცია ერთიანი ძალებით ბარიერის დასაწევად. რატომ არის ჩუმად?! იმიტომ, რომ ერთმანეთთან კარგად დალაგდნენ. სანამ მხოლოდ საკუთარ სკამებსა და საკუთარი ცხოვრების დალაგებაზე იქნება ოპოზიცია მიმართული, არაფერი ამ ქვეყანას არ ეშველება. არავინ არ ზრუნავს ხალხის პრობლემებზე, იმ გაჭირვებაზე, რომელშიც ადამიანებს ცხოვრება უწევთ. ირგვლივ კატასტროფული სიდუხჭირეა. ადამიანები ოჯახებს ველარ არჩენენ და ქვეყნიდან გარბიან.

დავსვათ კითხვა, ამ მოწვევის პარლამენტის პირობებში ადამიანების ცხოვრების დონე გაუმჯობესდა თუ, პირიქით, გაუარესდა?! პასუხი ყველამ მშვენივრად იცის. დეპუტატების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას არ ვგულისხმობ, ცხადია. ამ რეალობაში გვიწევს ცხოვრება.

*– რაში ხედავთ გამოსავალს?*

– „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ორივე უნდა მოშორდეს პოლიტიკურ პროცესებს. უნდა შეიქმნას ახალი ძალა, ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი ძალა, რომელიც მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქეების დაკვეთას შეასრულებს. დარწმუნებული ვარ, ასეთი ძალა აუცილებლად გამოჩნდება. თუმცა, პირველ რიგში, რესურსი უნდა გამოჩნდეს ამ ძალის შესაქმნელად. აუცილებლად გამოჩნდება, ამაში დარწმუნებული ვარ.

# პრემიერ-მინისტრი ევროკავშირის სანქციების განხორციელების საკითხებში საერთაშორისო სპეციალურ წარმომადგენელს და სანქციების საკითხებში აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირის სანქციების განხორციელების საკითხებში საერთაშორისო სპეციალურ წარმომადგენელს დევიდ ო'სალივანს და სანქციების საკითხებში აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებს ელჩ ჯეიმს ო'ბრაიენს და კუმარ იერს შეხვდა.



პრემიერ-მინისტრი მიესალმა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ვიზიტს საქართველოში და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას იმის ფონზე, რომ ქართულმა მხარემ ბრიუსელში გამართული შეხვედრების დროს არაერთხელ გამოხატა სპეციალური წარმომადგენლის ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ფინანსურ სანქციებთან მიმართებაში საქართველოს მუდმივ კოორდინაციაზე ევროკავშირთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან.

ხაზი გაესვა სანქციებისთვის თავის არიდების პრევენციის მიზნით საქართველოს შესაბამისი სამსახურების ეფექტურ მუშაობას და ამ მიმართულებით, როგორც საქართველო-ევროკავშირის, ასევე აშშ-საქართველოს წარმატებულ თანამშრომლობას. ასევე, აღინიშნა, რომ საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა პოზიტიურად ფასდება საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს მიერ უკრაინის მტკიცე მხარდაჭერაზე პოლიტიკური და ჰუმანიტარული მიმართულებით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ევროკავშირის ელჩი საქართველოში პაველ ჰერჩინსკი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კელი დეგნანი და დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი ესწრებოდნენ.

საქართველოს მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე.

# ამერიკის დაზვერვამ პრიგოჟინის ამბოხზე წინასწარ იცოდა



აშშ-ის დაზვერვას „ვაგნერის“ ხელმძღვანელის, ევგენი პრიგოჟინის ამბოხის გეგმის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჰქონდა. ამის შესახებ CNN-ი წყაროზე დაყრდნობით წერს.

დაზვერვის ინფორმაციით, პრიგოჟინის ამბოხის მიზეზი 10 ივნისს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადება გახდა, რომლის თანახმადაც, ყველა კერძო სამხედრო კომპანია, მათ შორის „ვაგნერი“, რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან ხელშეკრულებას გააფორმებდა.

როგორც „სიენენი“ წერს, ინფორმაცია იმდენად იყო გასაიდუმლოებული, რომ მხოლოდ ბაიდენის ადმინისტრაციის წევრებმა და კონგრესის „რვიანი ჯგუფის“ წევრებმა იცოდნენ, რომლებსაც წვდომა აქვთ დაზვერვის საიდუმლო მასალებზე. აშშ-მ ინფორმაცია მხოლოდ რამდენიმე მოკავშირეს გაუზიარა, მათ შორის, ბრიტანეთის მაღალჩინოსნებს. მედიის ცნობით, ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვამ გამოიწვია ევროპის ლიდერების და მათ შორის აშშ-ის მაღალჩინოსნების შეშფოთება.

„სიენენის“ ინფორმაციით, წყაროები აცხადებენ, რომ უკრაინელი მაღალჩინოსნები ასევე არ იყვნენ წინასწარ ინფორმირებული დაზვერვის ინფორმაციის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, იმის შიშით, რომ ამერიკელი და უკრაინელი მაღალჩინოსნების საუბრები შეიძლება მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილიყო.

„სიენენი“ ასევე წერს, რომ მოკავშირეებმა გააფრთხილეს უკრაინა, რომ „ვაგნერის“ ამბოხის პარალელურად, არ მიეტანათ იერიში რუსეთის ტერიტორიებზე.

# მიშა მშვილდაძეს თავს დაესხნენ



„ფორმულას“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, მიშა მშვილდაძეს უცნობი პირი თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა.

მშვილდაძე ამბობს, რომ მას სახეში მუშტი დაარტყეს, შემდეგ წაიქცა და სანამ წამოდგებოდა, თავდამსხმელი ფიზიკურ ანგარიშსწორებას აგრძელებდა.

მშვილდაძის თქმით, ტერიტორიაზე კამერები არის, სადაც ინციდენტი დაფიქსირებული იქნება.

ადგილზე იმყოფებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

– უცნობი პირი დამესხა თავს კარფურის შესასვლელში. ყურსასმენები მეკეთა, არც გამიგია თუ დამიძახა მანამდე რამე. გვერდით ჩავუარე უბრალოდ, ორი პიროვნება იდგა, არ დავკვირვებივარ, ვეჭვობ, რომ ერთ-ერთი მათგანი გამომეკიდა და პირდაპირ შესასვლელში, სახეში მუშტი დამარტყა. მერე ფეხი წამოვკარი კიბეს და წავიქეცი, წამოდგომა ვერ მოვახერხე და ის უკნიდან ცდილობდა, რომ ერტყა და ერტყა კიდევ.

შესასვლელში კამერა არის, ვხედავ. შიგნითაც იქნება სუპერმარკეტში კამერები, ალბათ გაიქცნენ იმიტომ, რომ მერე დაცვა მოვიდა, დაახლოებით 15-20 წამი გრძელდებოდა ეს, სანამ ცდილობდა, რომ ერტყა. შეძახილი, რაც გავიგონე, ყურსასმენი რომ მოვიხსენი, ახსენა პატრიარქი „შენ პატრიარქს როგორ აგინებ“ თუ რაღაც მსგავსი, – აცხადებს მშვილდაძე.

# ირაკლი კობახიძე: „სანქციებს არ ვაწესებთ, მაგრამ არავის ვაძლევთ სანქციების გვერდის ავლის საშუალებას“

– თავიდანვე ვთქვით, რა არის ჩვენი პოლიტიკა. ერთი, რომ სანქციებს არ ვაწესებთ, მაგრამ არავის ვაძლევთ სანქციების გვერდის ავლის საშუალებას. ეს არის ჩვენი პოლიტიკა, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, საქართველოს გამოყენება სანქციების გვერდის ავლისთვის არ ხდება, რაც ყველა პარტნიორმა დაადასტურა.

– ყოველ ჯერზე, როცა ოპონენტების მხრიდან ვრცელდებოდა ტყუილები, ჩვენ ვავრცელებდით სათანადო ინფორმაციას და, საბოლოო ჯამში, ყველა პარტნიორმა დაადასტურა, რომ საქართველოს გამოყენება სანქციების გვერდის ავლისთვის არ ხდება. ეს არის ფაქტი. ჩვენ ყველა კითხვაზე ვპასუხობთ ფაქტებით, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან.

ნიუპრესი

# ლევან ხაბეიშვილი: „გამწარებული რუსული პარტია გამოიყურება ასე — გარდაბანში საბურავები დაგვიჭრეს“



გამწარებული რუსული პარტია გამოიყურება ასე – გარდაბანში საბურავები დაგვიჭრეს, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი სოციალურ ქსელში წერს და ფოტოს აქვეყნებს.

მისი თქმით, გარდაბანში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, მანქანის საბურავები დაუზიანეს.

# ევროკავშირის სანქციების მე-11 პაკეტი ამოქმედებულია

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში 27 ივნისს 2 დღით ჩამოვიდნენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციების კოორდინაციის ოფისის ხელმძღვანელი, ელჩი ჯეიმს ო'ბრაიენი, ევროკავშირის სანქციების დესპანი დევიდ ო'სალივანი და ბრიტანეთის მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გენდირექტორი კუმარ აიერი.

საქართველოს პრემიერთან, საგარეო, ეკონომიკის, ფინანსთა მინისტრებთან დაგეგმილია სანქციებისა და მათი ეფექტური განხორციელების საკითხების განხილვა.

– ამ ვიზიტის მიზანია კომუნიკაციის პირდაპირი არხისა და სამომავლო თანამშრომლობითი დიალოგის დამყარება, – ნათქვამია აშშ-ის საელჩოს ინფორმაციაში.

ხსენებულ ვიზიტს ძაბავს ცოტა ხნის წინ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ცნობა, რომლის თანახმად, საქართველო დასახელდა იმ 5 ქვეყანას შორის, რომლებიც უკრაინაში შეჭრილ რუსეთს სანქციებისათვის გვერდის ავლაში ეხმარებიან. საქართველოსთან ერთად დასახელდა თურქეთი, ყაზახეთი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები და სომხეთი.

მსოფლიო თანამეგობრობა საუბრობს იმაზე, რომ სანქცირებული საქონელი მესამე ქვეყნების დახმარებით მაინც შედის რუსეთში.



საქართველოს მმართველი გუნდი საქართველოს მონაწილეობას სასანქციო მაქინაციებში კატეგორიულად უარყოფს. ამაზე სხვებთან ერთად წინმსწრები (შეხვედრების წინ) განცხადება გააკეთა „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

– თავიდანვე ვთქვით, რა არის ჩვენი პოლიტიკა. ჩვენ სანქციებს არ ვაწესებთ, მაგრამ არავის ვაძლევთ სანქციების გვერდის ავლის საშუალებას. საქართველოს გამოყენება სანქციების გვერდის ავლისთვის არ ხდება, რაც ყველა პარტნიორმა დაადასტურა. ყოველ ჯერზე, როცა ოპონენტების მხრიდან ვრცელდებოდა ტყუილები, ჩვენ ვავრცელებდით სათანადო ინფორმაციას და საბოლოო ჯამში, ყველა პარტნიორმა დაადასტურა, რომ საქართველოს გამოყენება სანქციების გვერდის ავლისთვის არ ხდება, – აღნიშნა კობახიძემ.



## ვაშინგტონის, ლონდონისა და ბრიუსელის წარმომადგენლები საქართველოში სანქციების შესრულების საკითხს განიხილავენ

• • •

## დასავლეთი თავიდან დიპლომატიის ხერხს იყენებს?

23 ივნისიდან ძალაში შევიდა რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების მე-11 პაკეტი. მასში ასახულია მესამე ქვეყნებისთვის შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობა. ამასთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ სანქციების დამრღვევი მესამე სახელმწიფოებს თავიდანვე რეპრესიულ ზომებს არ დაუდგენენ. გადაწყდა, რომ მათთან ჯერ დიპლომატიურ სამუშაოს ჩაატარებენ. თუ ამან არ გაჭრა, მაშინ გადამჭრელ ზომებს მიმართავენ.

ყველა ნიშნის მიხედვით, ვაშინგტონის, ბრიუსელისა და ლონდონის ოფიციალური პირები თბილისში დიპლომატიური მისიით იმყოფებიან.

საქართველო განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება იმ თვალსაზრისითაც, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია.

იმედია, საქართველო მომავალში რუსეთის გამო სანქციებში არ მოყვება.

სანქციების ახალი, მე-11 პაკეტი ევროკავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა ჟოზეფ ბორელმა ასე შეაფასა:



– ჩვენი სანქციები უკვე აყენებს ზიანს რუსეთის ეკონომიკას და კრემლის შესაძლებლობებს დააფინანსოს თავისი აგრესია. ეს პაკეტი აძლიერებს ჩვენს ზეწოლას რუსეთსა და პუტინის სამხედრო მანქანაზე. სანქციების გვერდის ავლასთან ბრძოლით ჩვენ ვაძლიერებთ ზემოქმედებას რუსეთზე და ხელიდან ვაცლით მას მეტ რესურსს.

სანქციების მორიგმა პაკეტმა შფოთი გამოიწვია რუსეთში.

– ევროკავშირის სანქციების მე-11 პაკეტის მიზანია რუსეთის გრძელვადიანი ეკონომიკური ბლოკადის გამოწვევა, – განაცხადა რუსეთის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა ევროკავშირში კირილ ლოგინოვმა.

მისი დასკვნით, ადრე დასავლეთს „ბლიცკრიგით" (ეკონომიკური ბლიცკრიგით) უნდოდა რუსეთის ეკონომიკის განადგურება, ახლა კი ევროკავშირს ხანგრძლივი ბლოკადის იმედი აქვს. ის ცდილობს, მასში რაც შეიძლება მეტი ქვეყანა ჩაითრიოს.

# „ოცნება" პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად ემზადება



„ოცნება" პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად ემზადება.

მორიგი მობილიზაციის მოლოდინში – „ქართული ოცნება" პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად ემზადება. ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი სალომე ზურაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას" შორის კიდევ ერთი განხეთქილების მიზეზია. „ოცნების" ინიციატივას მხოლოდ პრეზიდენტი არ ეწინააღმდეგება. ევროკომისიის შუალედურ დასკვნაში პირდაპირ ეწერა, რომ ეს კანონი არ არის მისაღები. ბრიუსელიდან მიღებული მკაცრი შეფასების მიუხედავად, ვეტოს დაძლევის პროცედურების დაწყება შესაბამის კომიტეტს უკვე დაევალა.

პრეზიდენტს ცესკოს წევრების წარდგენის უფლებას ართმევენ. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამდე „ქართული ოცნება" სალომე ზურაბიშვილს საბოტაჟის მოწყობაში ადანაშაულებს.

– ჩვენ ვხედავთ, რომ არის მცდელობა ცესკოში ხელოვნურად შეიქმნას კრიზისი, – ამბობს პარტიის თავმჯდომარე, რომლის თავდასხმის ადრესატი ზურაბიშვილთან ერთად შარლ მიშელის შეთანხმებაც იყო. კობახიძე ირწმუნება, რომ ხელისუფლება არასდროს გააფორმებს მსგავს შეთანხმებას, როგორიც 19 აპრილის დოკუმენტი იყო.

ეკონომიკა

# მაისში ბანკების მოგება 57.6 მლნ ლარით გაიზარდა




2023 წლის მაისში კომერციულმა ბანკებმა 237.6 მლნ ლარის წმინდა მოგება მიიღეს, ეს კი, წინა თვესთან შედარებით, 57.6 მლნ ლარით მეტია. აპრილში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 180 მლნ ლარს შეადგენდა.

ამასთან, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2023 წლის მაისში კომერციული ბანკების შემოსავლებმა შეადგინა 761.5 მლნ ლარი, საიდანაც საპროცენტო შემოსავლები იყო 549.9 მლნ ლარი. მაისში კომერციული ბანკების ხარჯებმა 478.5 მლნ ლარი შეადგინა.

ამავე სტატისტიკით, 2023 წლის მაისში ბანკების მიერ ჯარიმა/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა – 7 მლნ ლარი, საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ 70 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვეში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 48.3 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს.

ცნობისთვის, 2022 წელს ბანკები რეკორდულ მოგებაზე გავიდნენ. გასულ წელს 14 კომერციული ბანკის წმინდა მოგებამ 2.088 მლრდ ლარს გადააჭარბა. ეს კი თითქმის 8.6 მლნ ლარით მეტია 2021 წელთან შედარებით.

# რა ღირს საწვავი საქართველოში



მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასები ისევ იმატებს. ამ დროისთვის Brent-ის ტიპის ნავთობის ფასი 74 დოლარამდეა გაზრდილი, ჭთl ჩრუდე-ის ღირებულებამ კი 69 დოლარი შეადგინა.

ზოგადად, ერთწლიან პერიოდში კი, საერთაშორისო ბირჟაზე ნავთობის ფასი 35%-ითაა შემცირებული.

რაც შეეხება რუსულ ნავთობს, ბირჟაზე ბარელი Urals-ის ფასი 55,35 დოლარს შეადგენს, რაც ერთ კვირაში 4.5%-ით შემცირებული მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ ეს პარასკევის ბოლო სავაჭრო სესიაზე დაფიქსირებული ფასია, რაც „ვაგნერის ჯგუფის" აჯანყების ფაქტს არ ითვალისწინებს.

ზრდის ტენდენცია ფიქსირდება ბუნებრივ აირთან მიმართებითაც, ერთ დღეში ევროპული გაზის ღირებულება 12%-ით გაიზარდა და მეგავატი-საათი ენერგიის ღირებულებამ 36 ევროს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ ნავთობიმპორტიორთა კავშირის ცნობით, აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გასული კვირის განმავლობაში აშშ-ში ნედლი ნავთობის მარაგები შემცირდა 3,83 მილიონი ბარელით და შეადგინა 463,293 მლნ ბარელი.

„ბიზნესპრესნიუსი" დაინტერესდა, რა ღირს საწვავი საქართველოში:

5 ყველაზე დიდ ბენზინგასამართ სადგურზე (ვისოლი, ლუკოილი, გალფი, რომპეტროლი, პორტალი) სუპერის ტიპის საწვავი 3.57 ლარი ღირს, მხოლოდ „სოკარშია" ფასი 3.49 ლარი.

პრემიუმის ფასი 2.68 ლარიდან 2.77 ლარამდეა. რეგულარის ფასი 2.40 ლარიდან 2.52 თეთრამდე.

რაც შეეხება გაზს, მისი ფასი ბრენდირებულ გასამართ სადგურებზე 1.55 ლარიდან 1.69 ლარამდე მერყეობს.

სამართალი

# ზუგდიდში ველოსიპედით მოსიარულე კაცს ავტომობილი დაეჯახა



ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე, ავტომობილი შუახნის კაცს დაეჯახა. არსებული ინფორმაციით, კაცი ველოსიპედით გადაადგილდებოდა.

დაშვებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შემთხვევის ადგილას ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ.

# ქართველ ქალს, რომელიც ქმრის მკვლელობაშია ბრალდებული, თურქულმა სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა




თურქეთში, ერზრუმის სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ქართველ ქალს, რომელიც ქმრის მკვლელობაშია ბრალდებული. საქართველოს მოქალაქესთან ერთად დაკავებულია კიდევ ერთი პირი, რომელსაც თურქული მედია ოჯახის ახლობლად მოიხსენიებს.

ქართველი ქალის თურქი მეუღლე რამდენიმე დღის წინ საქათმესთან ნაჯახით არის მოკლული. სასამართლოს შენობასთან მოკლულის ახლობლები ბრალდებულებს ყვირილით და შეძახილებით დახვდნენ.

მედიაში ვრცელდება დაკავებული ქალის ჩვენება, სადაც ის ჰყვება, რომ დანაშაულს წინ ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი უძღოდა.

გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობისთვის დაკავებულმა ორივე პირმა, დანაშაული წინასწარ დაგეგმა და კვალის წაშლასაც შეეცადა, თუმცა მალევე, ორივე ბრალდებული დააკავეს.

# დენდროლოგიური პარკი ბერა ივანიშვილმა დედას ეკატერინე ხვედელიძეს გადაუფორმა

დენდროლოგიური პარკის მფლობელი ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე გახდა. აღნიშნული ცვლილება საჯარო რეესტრში მიმდინარე წლის 6 ივნისს აისახა.

კერძოდ, რეესტრის მონაცემებით, შპს „ურეკი რეზიდენსის" 100%-იანი წილის მფლობელი ეკატერინე ხვედელიძე გახდა. მანამდე კომპანიას მისი შვილი ბერა ივანიშვილი ფლობდა.



შეგახსენებთ, რომ „ურეკი რეზიდენსი" ბიძინა ივანიშვილმა 2016 წელს დააფუძნა და სწორედ მის საკუთრებაში იყო კომპანია, სანამ 2017 წელს შვილის, ბერა ივანიშვილის სახელზე არ გადააფორმა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ „ურეკი რეზიდენსი" მართავს შეკვეთილში ბიძინა ივანიშვილის ინვესტიციით მოწყობილ დენდროლოგიურ პარკს.

ცნობისთვის, „დენდროლოგიური პარკი" ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნატანებში 60 ჰექტარზეა გაშენებული. პარკის ტერიტორიის 54 ჰექტარზე მეტს ფლობს „შპს ურეკი რეზიდენსი". „პუბლიკასთან" საუბრისას შპს „ურეკი რეზიდენსის" დირექტორი, პაატა სულაბერიძე ადასტურებს, რომ პარკს ფლობს „ურეკი რეზიდენსი" და ის ყველასთვის ღიაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლაზარე გრიგორიადისმა ღარიბაშვილისა და კობახიძისგან 15-15 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა

პოლიციელების ჯანმრთელობის ხელყოფისა და სახელმწიფო ქონების განადგურების ფაქტებზე ბრალდებულმა ლაზარე გრიგორიადისმა სასამართლოს ირაკლი ღარიბაშვილისა და ირაკლი კობახიძის მიერ მისი მისამართით საჯაროდ გაკეთებული განცხადებების გამო, სამოქალაქო სარჩელით მიმართა.

გრიგორიადისი კობახიძე-ღარიბაშვილისგან მორალური ზიანის ანაზღაურებას 15-15 ლარის ოდენობით და საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს გრიგორიადისის ადვოკატმა დიმიტრი ნოზაძემ განუცხადა.

სასამართლო სხდომაზე აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა თავად ბრალდებულმაც.

– ცოტა ხანში, ირაკლი კობახიძესთან და ირაკლი ღარიბაშვილთან მექნება საქმე. მინდა, რომ ორივე პირი იმყოფებოდეს სასამართლოზე, მათი ადვოკატების წინადადებების მოსმენა არ მინდა მარტო, მათი არგუმენტების მოსმენაც მინდა. კიდევ მექნება „ტვ იმედთან" ცოტა ხანში სასამართლო სხდომა, უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევენ. თემებთან დაკავშირებით მექნება კიდევ განცხადება, ალბათ, გლდანის ციხესთან დაკავშირებითაც გავაკეთებ განცხადებას, რა დარღვევები ხდება იქ, – განაცხადა გრიგორიადისმა.

მისი განცხადება მოგვიანებით ჟურნალისტებთან ადვოკატმა დიმიტრი ნოზაძემ განმარტა.

– ლაზარე გრიგორიადისმა „ადამიანის უფლებათა ცენტრის" დახმარებით სასამართლოს სარჩელით მიმართა. ირაკლი ღარიბაშვილისა და ირაკლი კობახიძის მიერ მედიაში გავრცელებულ განცხადებებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს 15-15 ლარის ოდენობით, პლუს, მათგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვს მათ მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების გამო.

რაც შეეხება გლდანის ციხეში არსებულ დარღვევებს, რაზეც მან განაცხადა, როცა მასთან შევალთ, უფრო დეტალურ ინფორმაციას გამოვიტანთ. ალბათ, საუბარია იმაზე, რომ როცა ციხეში მისი შესახლება მოხდა, თმების გადაპარსვა, საყურეების მოხსნა მოხდა, რაზეც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიება მიმდინარეობს.

რაც შეეხება „ტვ იმედს", როცა ლაზარე გრიგორიადისის დაკავება მოხდა, პირდაპირ




კეთდებოდა განცხადება, რომ ის ნასამართლევი იყო და ეს ასე არ არის. არც ერთ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი არ გვაქვს, – განაცხადა ნოზაძემ.

ცნობისთვის, ლაზარე გრიგორიადისს, რომელსაც პოლიციელების ჯანმრთელობის ხელყოფისა და სახელმწიფო ქონების განადგურების ფაქტებზე ედება ბრალი, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 31 მარტს შეეფარდა.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა 7 მარტს, რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის მიმდინარეობისას, 9 აპრილის ქუჩაზე შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მიმართულებით, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ორჯერ ისროლა ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი.

ასევე, ბრალდებულმა 9 მარტს, ჭანტურიას ქუჩაზე, განზრახ წაუკიდა ცეცხლი შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ „ტოიოტა კოროლას" მოდელის ავტომანქანას, რომელიც ადგილზე დაიწვა. ამ ქმედების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს 39 500 ლარის ქონებრივი ზიანი მიადგა.

ლაზარე გრიგორიადისს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით (პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით) და 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (სხვისი ნივთის განადგურება, ცეცხლის წაკიდებით) წარედგინა, რაც სასჯელის ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

7-8 მარტის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსით ჯამში, 6 პირი დააკავეს, მათგან 5 ბრალდებული გირაოს სანაცვლოდ არის გათავისუფლებული.

# სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა საქართველოს 2 მოქალაქე დააკავეს



სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე საქართველოს 2 მოქალაქე დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, წითელი ხიდის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „სადახლოს" დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე საქართველოს 2 მოქალაქე – 1966 წელს დაბადებული ხ.ხ. და 1987 წელს დაბადებული ა.ა. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– ასევე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მარნეულის რაიონული სამმართველოს სადახლოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ა.ხ. და 2003 წელს დაბადებული ნ.ი. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ლაზარე გრიგორიადისის მამას მოსამართლემ 800 ლარი დააკისრა

ლაზარე გრიგორიადისის მამა, პოლიციელის მიმართ სოციალურ ქსელში შეურაცხმყოფელი გამონათქვამის გამო, მოსამართლემ წვრილმან ხულიგნობაში სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის სახით 800 ლარი დააკისრა

ლაზარე გრიგორიადისის მამა, ბექა გრიგორიადისი თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად წვრილმან ხულიგნობაში ცნო.

მოსამართლე კობა ჩაგუნავამ ბექა გრიგორიადისს ადმინისტრაციული სახდელის სახით 800 ლარი დააკისრა.

მოსამართლის განმარტებით, ბექა გრიგორიადისის მხრიდან პოლიციელის მიმართ შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს ადგილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ ჰქონია, შესაბამისად, ის აღნიშნულ ნაწილში სამართალდამრღვევად არ ცნო, თუმცა, სოციალურ ქსელში შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოთქმის გამო, ის წვრილმან ხულიგნობაში ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად მიიჩნია.

ბექა გრიგორიადისს პროტესტის ნიშნად,




პირი და ცალი თვალი აქვს ამოკერილი. სასამართლოსთან შეკრებილი არიან ბექა და ლაზარე გრიგორიადისის მხარდამჭერები.

ცნობისთვის, ბექა გრიგორიადისმა 3 ივნისს, სოციალურ ქსელში პოლიციელის მიმართ შეურაცხმყოფელი ტექსტი გააჟღერა. მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას ედავებოდნენ.

# კასპში კაცი მცირეწლოვან ბავშვებს აჩხუბებდა და ვიდეოებს უღებდა

შიდა ქართლში, ახალგაზრდა კაცი მცირეწლოვან ბავშვებს აჩხუბებდა და მობილური ტელეფონით ვიდეოებს, სავარაუდოდ, სოციალურ ქსელში გავრცელების მიზნით, უღებდა.




„მთავარი არხის" ინფორმაციით, სავარაუდო დანაშაულს კასპის ერთ-ერთ სოფელში ჰქონდა ადგილი. ინციდენტი სოფლის ცენტრში, დღის საათებში მოხდა, შემთხვევის ადგილზე სათვალთვალო კამერებიცაა განთავსებული.

– ბავშვები თამაშობდნენ სოფლის ცენტრში, მალაზიასთან. მოვიდა ჩვენი სოფლის მცხოვრები თავის 10 წლის ბავშვთან ერთად და უთხრა, ამ ბიჭს სცემეო. 9 წლის ბავშვზეა საუბარი. არავინ გააშველოთ, თორემ დაგხოცავთო, ყვიროდა და ვიდეოს უღებდა. მიდი, მოკალიო, თავის შვილს ეუბნებოდა. 9 წლის ბიჭს ისე სცემა 10 წლის ბიჭმა, საავადმყოფოში გადაიყვანეს და გვიან ღამით გამოწერეს. პოლიციამ იცის ყველაფერი, მაგრამ ჯერ კაცი არ დაუკავებიათ, – გვეუბნება თვითმხილველი.

„მთავარი არხის" ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება დაიწყო, თუმცა რა მუხლით, ჯერჯერობით შსს პრესცენტრში ვერ ამბობენ. პოლიციამ მაღაზიის სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, ჩვენი ინფორმაციით, ამოიღო. უცნობია, ამოღებულია თუ არა სავარაუდო დამნაშავის ტელეფონი, რომლითაც ძალადობის ამსახველი ვიდეოა გადაღებული.

# გლეხოვიჩის საქმე — რატომ გაიქცა მთავარი მოწმე

ექსპერტ თამარ კუნელაშვილის ხმაურიანი აღიარების შემდეგ პროკურატურის მთავარი მტკიცებულება გახმაურებულ საქმეში ისევ ბუნდოვანი ხმოვანი ჩანაწერია, სადაც ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ 9 პირს კავშირი ქურდულ სამყაროსთან ჰქონდა. პროკურორების მთავარი მტკიცებულება ქვეყნიდან გაქცეული ექსპერტის დასკვნაა, რომელიც ახლა თავშესაფარს სხვა ქვეყანას სთხოვს.



დაკავებულებიც ამტკიცებენ, რომ მათი ხმა გააყალბეს, რამდენიმე დაკავებული კი ერთმანეთთან ნაცნობობას საერთოდ უარყოფს.

ზაალ მახარობლიძეს, იგივე გლეხოვიჩს კი ვახტანგ გომელაურის უწყება ამ დრომდე ეძებს. მას ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, გლეხოვიჩის უფლებადამცველი ტარიელ კაკაბაძე ამტკიცებს, რომ საქმეში საკმარისი მტკიცებულებები არ დევს, ალტერნატიული ექსპერტიზით კი დადასტურდა, რომ სატელეფონო საუბრის დროს ჩაწერილი ხმა მახარობლიძეს არ ეკუთვნის.

# „ჩუქჩა" და კიდევ 2 პირი „ქურდულ სამყაროსთან" კავშირის გამო დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, „ქურდულ სამყაროსთან" კავშირში მყოფი, წარსულში ნასამართლევი 3 პირი დააკავეს.

1972 წელს დაბადებული ა.შ. დაკავებულია „ქურდული სამყაროს წევრობისთვის", 1995 წელს დაბადებული ა.ხ. „ქურდული სამყაროს წევრის მიმართვისთვის", ხოლო 2004 წელს დაბადებული გ.შ.-ს, მეტსახელად „ჩუქჩა"-ს „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერაში" ედება ბრალი.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულ ა.ხ.-ს და მის თანამშრომელს შორის ფინანსური დავა წარმოიშვა. წარმოქმნილი უთანხმოების გადაწყვეტის მიზნით, ა.ხ.-მ დახმარებისთვის მიმართა „ქურდული სამყაროს წევრ" ა.შ.-ს და კრიმინალური გავლენის გამოყენებით, დავის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა სთხოვა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ „ქურდული სამყაროს წევრის" ა.შ.-ს დავალებით მოწყობილ „ქურდულ გარჩევაში" ბრალდებული ა.ხ., გ.შ. და მოდავე მხარე მონაწილეობდნენ. „ქურდული წესით გარჩევისას", კრიმინალურმა ავტორიტეტმა ა.შ.-მ მოდავე მხარეს, სადავო თანხის სრულად ამოწურვამდე, მისთვის ყოველთვიურად გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა დააკისრა.

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა გ.შ.-მ, რომელიც შემდგომ სისტემატურად ახორციელებდა მუქარას მოდავე მხარეზე.



შსს ამბობს, რომ ბრალდებულები აქტიურად მონაწილეობდნენ პირადი კონფლიქტებისა თუ ფინანსური დავების „ქურდული წესებით" გადაწყვეტაში.

პოლიციამ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე, მე-3 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით და 223-ე, მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საზოგადოება

# ნუცა ბუზალაძეს კოლეგების უპატივცემულობაში ადანაშაულებენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რომ თურმე ის საქართველოს გააცნობს მსოფლიოს, არა როგორც ამერიკის შტატს, არამედ უცნობ ქვეყანას და ამ სიტყვებმა ტანში ზარი დამცა, ხალხნო! ნუთუ საქართველოს ძირძველი და ათასწლეულებით სავსე ისტორია ნუცას წარსადგენია მსოფლიოსთვის ასე თავხედურად! შეიძლება ამაზე მეტი შეურაცხყოფა მიაყენო საკუთარ სამშობლოს?

და ბოლო ეპიზოდი, ეს იყო ამ გოგონას უზრდელობის უმაღლესი კოეფიციენტი, როდესაც მან თავისი გამოსვლა დაამთავრა, სცენიდან ჩახტა დარბაზში „ფალოურებთან" სურათების გადასაღებად, და უბრალოდ, ყველა კოლეგას, რომლებიც გამოვდიოდით მის შემდეგ, „მოგვაფურთხა" თავისი ქმედებით. ეს იყო ამ ბავშვის უზნეობის უმაღლესი წერტილი!

მე პირადად ვმღეროდი ნუცას გამოსვლის შემდეგ და, ჩემი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, სულაც არ მაინტერესებდა, ის რას ჩადიოდა ჩემთან დამოკიდებულებაში, მაგრამ ამ გოგონას ქმედებამ საოცარი შოკი გამოიწვია ჩემში!

მე პირადად პუტინის სიგელის მფლობელი გახლავართ, რომელიც ჩემს შემოქმედებას ეკუთვნის და არა პირადად მე, 17 წელი ვმოღვაწეობდი რუსეთში, ჩემი სახელობის ვარსკვლავია გახსნილი მოსკოვის ერთ-ერთ პარკში, ყველაზე დიდი საკონცერტო სააგენტოს მფლობელი გახლდით კლასიკური მუსიკის მიმართულებით და მე არ ვაძლევ ჩემს თავს იქ ჩასვლის უფლებას, როცა ქალაქი არ არსებობს, სადაც არ მიმღერია!

მაპატიეთ ამ ემოციებისთვის, თუმცა ნუცას ყოველთვის მხურვალედ ვგულშემატკივრობდი და გთხოვთ, ვინმემ დაარიგეთ ეს ახალგაზრდა, რომ ასე მომავალში ვერაფერს გახდება!

ულრმესი მადლობა ყურადღებისათვის და წარმატებები კოლეგას!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# შედგა ზელენსკისა და ბაიდენის სატელეფონო საუბარი



რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებები გრძელდება. უკრაინულმა არმიამ დონეცკთან რუსების მძლავრი სიმაგრეები გაარღვია. ახლა უკრაინელები დონეცკთან სულ ახლოს არიან. ასევე გრძელდება უკრაინელთა წინსვლა როგორც ზაპოროჟიეს, ისე ხერსონის მიდამოებში. თავად წინსვლის ფაქტი უდავოდ წარმატებაა.

– ხერსონის ოლქში ჩვენმა მეომრებმა 2 კმ-ით წაიწიეს წინ, – აცხადებს უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი.

უკრაინული არმიის წინსვლას მოჰყვა დარტყმები როგორც დონეცკზე, ისე ლუგანსკზე, აგრეთვე დროებით ოკუპირებულ ყირიმზეც. შედეგად რუსი ოკუპანტების რიგებში მსხვერპლი გაიზარდა. თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, მსხვერპლმა უკვე 225.000-ს გადააჭარბა. ამან რუსების გააფთრება გამოიწვია.

„აპოსტროფ ტივის" ცნობით, ოკუპანტებმა დაბომბეს როგორც კიევი, ისე ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი. შედეგად დაინგრა სახლები, დაშავდა მშვიდობიანი მოსახლეობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უკრაინელებმა რუსული რაკეტების უმრავლესობა ჩამოაგდეს. ეს თანაბრად შეეხება როგორც კალიბრის ტიპის რაკეტებს, ისე ირანულ დრონ შახიდებსაც.

– ამ ფონზე შედგა ვლადიმერ ზელენსკისა და ჯო ბაიდენის სატელეფონო საუბარი, – იტყობინება „ამერიკის ხმა".

ზელენსკიმ გააცნო ამერიკელ კოლეგას ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა, დაწვრილებით მოუთხრო იმ დანაკარგებზე, რაც უკრაინამ უკანასკნელი დაბომბვების შედეგად განიცადა.

შემდეგ საუბარი რუსეთში განვითარებულ პროცესებს შეეხო. საუბარი იყო პრიგოჟინის პუტჩსა და იმ მოვლენებზე, რაც ამის შემდეგ შეიძლება დატრიალდეს. ზელენსკიმ განაცხადა:

– პუტჩმა ნათლად გვიჩვენა რუსული სახელმწიფოს სიდამპლე და უძლურება!

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ პუტინს რუსი პროპაგანდისტები „მაგარ ბიჭად" ხატავდნენ. ახლა ეს „მაჩო" აღარ არსებობს. სახეზეა მხოლოდ დაბერებული თხა. მან უკვე წააგო ომი. ახლა პუტინისათვის ერთადერთი გამოსავალი ფრეა. -

რაც შეეხება პრიგოჟინის პუტჩს, პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ მომხდარი ნათლად გვიჩვენებს დაპირისპირებას რუსეთის ელიტაში და რომ ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაიზრდება. მისი მიზეზი პუტინის დიქტატორული რეჟიმია. შესაბამისად, კრიზისი რუსეთში გაღრმავდება.

საუბარიც დამთავრდა.

# პუტინის სენსაციური აღიარება



რუსეთის დიქტატორმა პუტინმა აღიარა რუსი სამხედრო მფრინავების დაღუპვის ფაქტი.

– ისინი პრიგოჟინის პუტჩის დროს დაიღუპნენ, – თქვა პუტინმა.

რუსეთის დიქტატორმა დაღუპულ მფრინავებს გმირები უწოდა.

ადრე რუსული პროპაგანდა მფრინავების დაღუპვის ფაქტს არ აღიარებდა.

– პრიგოჟინის პუტჩის დროს არავინ არ დაღუპულა! ცნობა მოკლული მფრინავების შესახებ ბანდერელთა პროპაგანდის მიერაა შეთხზული, – ამტკიცებდა ოდიოზური რუსი პროპაგანდისტი მარგარიტა სიმონიანი.

ამ მოვლენებს სხვაგვარად აღიქვამენ უკრაინაში. ექსპერტი ოლგა ბილანი მომხდარის გამო სიხარულს ვერ მალავს.

# სად არის პრიგოჟინი?!

მეამბოხე ვაგნერელთა ბელადი პრიგოჟინი ბელორუსშია, ამტკიცებს რტრ-ი. ოდიოზურმა რუსმა პროპაგანდისტმა, მარგარიტა სიმონიანმა განაცხადა:

– მალე პრიგოჟინი ბელორუსიდან კიევისაკენ დაიძვრება!

ამ სიტყვებს უკრაინელი სამხედროების რეაქცია მოჰყვა. გენერალმა ნაევმა განაცხადა, რომ თუ პრიგოჟინი კიევისაკენ დაიძვრება, მას უმალ გაანადგურებენ.

– ჩვენი საზღვრები საიმედოდაა გამაგრებული! – თქვა ნაევმა.

ამავე დროს გენერალმა აღნიშნა, რომ თუ პრიგოჟინი ვინმესთვის საფრთხეს წარმოადგენს, ეს ბელორუსის დიქტატორი ლუკაშენკოა.

– „ვაგნერმა" შესაძლოა ბელორუსის ამოყირავება სცადოს, მაგრამ უკრაინას პრობლემებს ვერ შეუქმნის! – მიიჩნევს ნაევი.

პრიგოჟინი მინსკში ჩაფრინდა.

# ბაიდენი პრიგოჟინის ბუნტის შესახებ

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა „სქაი-ნიუსს" ინტერვიუ მისცა. მან განაცხადა, რომ არც აშშ-ის და არც მის მოკავშირეებს პრიგოჟინის პუტჩთან კავშირი არა აქვთ.

# აშშ-ის კონგრესის სპიკერის განცხადება



აშშ-ის კონგრესის სპიკერის, მაკარტის აზრით, დღეისათვის პუტინის ძალაუფლება დასუსტდა. ჩინეთმაც უნდა გადახედოს მოსკოვის მხარდაჭერის პოლიტიკას.

– სი ძინპინმა პუტინის მხარდაჭერაზე უარი უნდა თქვას, – ამბობს მაკარტი.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა პრიგოჟინის პუტჩთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ აშშ პრიგოჟინს არ გადასცემს რუსეთს ან ბელორუსს. მიზეზი მარტივია: ამ ქვეყნებთან აშშ-ს არ გააჩნია ხელშეკრულება ექსტრადიციის თაობაზე.

# ახლა მარიუპოლის და ბერდიანსკის გათავისუფლების ჯერია

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ახალი ცვლილებებია. უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ანა მალიარის ცნობით, უკრაინელებმა დაიკავეს სტრატეგიული მნიშვნელობის სოფელი რივნოპოლი (დონბასი).

უკრაინელი ექსპერტის, პოლკოვნიკ სვიტანის აზრით, უკრაინული არმია წინსვლას გააგრძელებს.

– ახლა მარიუპოლის და ბერდიანსკის გათავისუფლების ჯერია, – მიიჩნევს სვიტანი.

უკრაინული არმია დონბასში წინსვლას განაგრძობს. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ფრონტის ყველაზე ცხელ წერტილს – ბახმუტს. უკრაინული არმია წინ მიიწევს როგორც ფლანგებზე, ისე ბახმუტშიც. უკრაინელთა წინსვლა დაფიქსირდა მარინკაში და ავდეევკის მახლობლადაც.

– უკრაინელებმა დაიწყეს იმ ტერიტორიის გათავისუფლება, რომლის ოკუპაციაც რუსეთმა 2014 წელს შეძლო, – იტყობინება ბრიტანეთის დაზვერვა.

დონბასის გარდა, უკრაინული არმია ზაპოროჟიეს ოლქშიც წინ მიიწევს. ოკუპანტებისაგან გათავისუფლებულია რიგი დასახლებული პუნქტები. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ხერსონსჩინაზე შექმნილი სიტუაცია. ხერსონის ოლქის ოკუპირებულ ნაწილში უკრაინელებმა დესანტი გადასხეს. ოკუპანტები უკან იხევენ.

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, უკრაინელთა შეტევები გრძელდება. ოკუპანტები ტოვებენ ახალ-ახალ ტერიტორიებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

# საქართველო სავსეა ტალანტებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპულის მედიამ ქართველ ფეხბურთელებს ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიაქცია, როდესაც ევროპულ ფეხბურთში ხვიჩა კვარაცხელიამ, გიორგი მამარდაშვილმა და გიორგი მიქაუტაძემ ხმაურიანად შეაბიჯეს. მაშინ იქაური მედია წერდა, რომ ბრიტანულ კლუბებს, კერძოდ კი, ლივერპულს თანამშრომლობა თბილისის დინამოს აკადემიასთან დაეწყო.

მორიგი წერილიც ქართულ ფეხბურთს, მაგრამ სატრანსფერო წესებში ცვლილებებსაც ეხება.

ადრე დიდი ბრიტანეთის შრომის სამინისტრო სამუშაო ვიზას არ გასცემდა იხეთ ფეხბურთელებზე, ვისაც ბოლო 2 წელიწადში ნათამაშები საკუთარი ქვეყნის ნაკრების ჩატარებული მატჩების 75% არ ჰქონდა და ფიფას რეიტინგით მოწინავე 70 ქვეყანას შორის არ იყო. მოგვიანებით, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება და პრემიერლიგის კლუბს შეუძლია, ოთხი ისეთი ფეხბურთელი იყოლიოს, რომელიც რეგლამენტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

ჰოდა, მედიაც გააქტიურდა და იქაურ კლუბებს საქართველოზე ყურადღების გამახვილებას ურჩევს.

ქვეყანას, რომელიც სავსეა ტალანტებით – წერს მედია, რომლის სრულ ვერსიასაც აქვე შემოგთავაზებთ.

– ლივერპული დიდი ინტერესით აკვირდება საქართველოსა და რუმინეთში დაწყებულ 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს – ტურნირზე თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებმაც სახელოვანი კლუბის დაინტერესება შეძლეს.

ლივერპულის სკაუტების უმეტესობა ბელგია-ნიდერლანდების მატჩზე მივიდა. ამ დროს მთავარი ამბები მეორე მატჩში დატრიალდა, სადაც საქართველომ პორტუგალია 2:0 დაამარცხა.

პორტუგალიისთვის, სადაც პედრო ნეტო და ნუნუ ტავარეში თამაშობენ, ეს შოკისმომგვრელი იყო. მით უმეტეს, საქართველოს დააკლდა საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი ეროვნული გუნდიდან, რომლებიც წინა საღამოს გლაზგოში შოტლანდიასთან თამაშზე იყვნენ და თბილისში დაბრუნდნენ და მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ.

მთლიანობაში, საქართველომ დისციპლინირებული ფეხბურთი ითამაშა სწრაფი კონტრშეტევებით, რამაც ხაზი გაუსვა ახალგაზრდა ქართველი ვარსკვლავების ტექნიკასა და კლასს. ეს შედეგი ქართული ფეხბურთის ზრდის კიდევ ერთი დასტურია.

ამ ქვეყანაში ფეხბურთს ყოველთვის ჰქონდა დიდებული ისტორია. თუმცა, მე-20 საუკუნის უმეტესი პერიოდის განმავლობაში, ქართველი ფეხბურთელები საბჭოთა კავშირთან ასოცირდებოდნენ.

ბოლო 30 წლის განმავლობაში კი, განვითარების საკმაოდ დაბალი ტემპი ჰქონდათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლო ათწლეულმა გაცილებით დიდი იმპულსი შეიძინა. ქვეყნის უდიდესმა საფეხბურთო კლუბმა თბილისის დინამომ ძლიერი აკადემია დააფუძნა, რომელსაც ანდრეს კარასკო ხელმძღვანელობდა. კარასკო კი, 1999 წლიდან 2011 წლამდე ბარსელონაში ლეო მესის მწვრთნელად მუშაობდა.

მისი შრომის შედეგად გაზარდეს ევროპის ტოპ-5 ლიგაში მოთამაშე ორი საინტერესო პერსპექტივის მქონე ფეხბურთელი – ნაპოლის სუპერვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელია და ვალენსიას მეკარე გიორგი მამარდაშვილი. მათ სხვებიც მოჰყვებიან...

ლუკა პარკაძე ცოტა ხნის წინ მიუნხენის ბაიერნში გადავიდა, დინამოს 17 წლის ფეხბურთელი გაბრიელ სიგუა კი ერთ-ერთია იმ ახალგაზრდებიდან, ვინც 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაშია და უკვე უმაღლეს დონეზე ასპარეზობის გამოცდილებაც აქვს.

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების სულ 13-მა წევრმა, ანუ ნახევარზე მეტმა, დიდ ფეხბურთში თბილისის დინამოს აკადემიის გავლით შეაბიჯა – ეს თავისთავად აღსანიშნავი ფაქტია! ამიტომ ისეთმა კლუბებმა, როგორიც ლივერპულია, საქართველოში განვითარებულ მოვლენებს თვალი ყურადღებით უნდა ადევნონ.

ეს სამუშაო ნებართვებთან დაკავშირებით ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ახალი ცვლილებების ფონზე უნდა მოხდეს. ადრე, ქართველი ფეხბურთელები არ თამაშობდნენ ევროპის ტოპლიგებში და ინგლისური კლუბებისთვის ბრექსიტის შედეგად დამკვიდრებული ქულების სისტემის გამო, მიუწვდომლები იყვნენ.

ახალმა წესებმა კი, რომლებიც ძალაში ზაფხულში შევიდა, სამუშაო ნებართვის მოთხოვნები შეცვალა. პრემიერლიგის ყველა კლუბისთვის გამონაკლისი დაუშვეს – ახლა მათ შეუძლიათ დაიმატონ ოთხი ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც სამუშაო ნებართვის მისაღებად აუცილებელ 15-ქულიან კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ.

ეს ახალ შესაძლებლობებს ხსნის. გუნდებს შეუძლიათ ახალი ბაზრები აითვისონ. გონივრული იქნება, ლივერპულმა ეს საქართველოდან დაიწყოს. როგორც ახლახან დაწყებულმა 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატმა აჩვენა, ეს ქვეყანა სავსეა ტალანტებით, რომელთაგან ბევრი იმ ადამიანის ფხიზელი მზერის ქვეშაა, ლეო მესის ბარსელონაში დაწინაურებაში რომ დაეხმარა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# 2,5-მილიონიანი სახლი კატებს!



აშშ-ში შეძლებულმა ქალბატონმა თავის შვიდ სპარსულ კატას უანდერძა სახლი და მსხვილი თანხა.

84 წლის ნენსი საუერის მეგობრების თქმით, ბოლო წლებში მას ორი მთავარი გატაცება ჰქონდა: მისი კატები და საყიდლებზე სიარული.

– საყიდლებზე მას გარკვეული პრობლემები ჰქონდა, ვინაიდან მას არ შეეძლო მხოლოდ ერთი რამის ყიდვა. თუ რამე მოეწონებოდა, ერთბაშად 20-30 ცალს ყიდულობდა, – განაცხადა ქალის ახლობელმა იანა ალბანმა.

ასევე გაირკვა, რომ ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში მდებარე 2,5 მილიონ დოლარად ღირებული მისი სახლი ახლა, ფაქტიურად, კატების საკუთრებას წარმოადგენს. ქალმა ანდერძით დაიბარა, რომ სახლი მანამდე არ გაყიდონ, სანამ მისი კატები ცოცხლები იქნებიან. გარდა ამისა, მან თითოეულ მათგანს საკმაოდ სოლიდური თანხაც დაუტოვა. კონკრეტულად რამდენი, ამას ადვოკატები არ ახმაურებენ, თუმცა ცნობილია, რომ სრულიად საკმარისია მათი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: ალმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან განწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუფთა ჰაერი, უკეთესი თამაში — ეკოლოგიურ აქტივობაში საქართველოც ჩაერთვება




**საქართველო და რუმინეთი ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატს რომ მასპინძლობენ, უცხო აღარავისთვის არის. ჩვენი ნაკრების ირგვლივ უკვე დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. თუმცა, ამჯერად სხვა კუთხით გვინდა განვიხილოთ. საქმე ის არის, რომ უეფა იწყებს კამპანიას — „სუფთა ჰაერი, უკეთესი თამაში". და ეს ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას ორივე ქვეყნის მასპინძელ ქალაქებში გაიმართება. გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე საქართველოსა და რუმინეთში კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობაა დაგეგმილი. კამპანიის როლსა და მნიშვნელობაზე უეფას ვებ-გვერდზე ორგანიზაციის მდგრადობის დირექტორის მიქელე უვას ინტერვიუ გამოქვეყნდა.**

***— რა არის კამპანიის „სუფთა ჰაერი, უკეთესი თამაში" მიზანი და მისი ხელახლა გაშვება წელს რატომ გადაწყვიტეთ?***

— კამპანია თავდაპირველად 2021 წელს უეფას 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე სლოვენიასა და უნგრეთში დაიწყო. ჩვენ გადავწყვიტეთ ევროპის დონეზე ყველაზე მნიშვნელოვანი ახალგაზრდული სანაკრებო ტურნირის პლატფორმა გამოგვეყენებინა, რათა მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება გარემოს დაცვითი საკითხების მნიშვნელობამ მიიპყროს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყურადღება ჰაერის დაბინძურებაზე გავამახვილეთ, რადგან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ყოველწლიურად შვიდ მილიონზე მეტი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. ასევე საფრთხეს უქმნის ჩვენს ჯანმრთელობას და ჩვენი თამაშის მომავალს. სწორედ ეს იყო ამ კამპანიის გზავნილი, რომლის ირგვლივაც გულშემატკივრები მასპინძელ ქვეყნებში და მის ფარგლებს გარეთ გაერთიანდნენ. კამპანია საქართველოსა და რუმინეთში წელს მიმდინარე ტურნირის დროს განვაახლეთ, რათა ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ცნობიერების ამაღლება გავაგრძელოთ და შთავაგონოთ ევროპული საზოგადოება, ჩაერთონ ინიციატივებსა და აქტივობებში, რომლებიც გარემოს იცავს.

***— რა აქტივობები განხორციელდება საქართველოსა და რუმინეთში 21-წლამდელთა ევროპის მიმდინარეობისას და რა მემკვიდრეობა დარჩება მასპინძელ ქვეყნებში?***

— უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო ორი მასპინძელი ფედერაციის პრეზიდენტებს რაზვან ბურლეანუსა და ლევან კობიაშვილს, რომლებმაც ჩვენი სტრატეგიისა და კამპანიის მიმართ რუმინეთსა და საქართველოში მხარდაჭერა გამოხატეს. ჩვენ წავახალისებთ მონაწილე ეროვნულ ასოციაციებს, ფეხბურთელებს, გულშემატკივრებს, მოხალისეებს თუ პერსონალს, ყველა დაინტერესებულ მხარეს, სხვადასხვა ინიციატივების მეშვეობით, მონაწილეობა ეკოლოგიურ აქტივობებში მიიღონ. აქტივობები მასპინძელ ქალაქებში მოეწყობა. ეს ინიციატივები ფოკუსირებული ნარჩენების მენეჯმენტზე, დასუფთავების აქციებსა და სხვა აქტივობებზე იქნება.

***— როგორ ჯდება ეს კამპანია თქვენს მთლიან მდგრადობის სტრატეგიაში?***

— უეფა პირველი სპორტული ორგანიზაციაა, რომელმაც შეიმუშავა 10-წლიანი სტრატეგია. ჩვენი კონცეფციიდან გამომდინარე, ფეხბურთი არ უნდა მიჰყვეს ეკოლოგიის დაცვის საზოგადოებრივ ტენდენციებს და სიახლე უნდა შეიტანოს. ჩვენი მიდგომა განპირობებულია წინდახედული აზროვნებით, რომელშიც ჩვენ წარმოვიდგენთ სტაბილურ, ეკოლოგიურ მომავალს და ამის მისაღწევად კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ. მტკიცედ გვჯერა, რომ ჩვენი საქმე ინვესტიციაა. კამპანია სუფთა ჰაერი, უკეთესი თამაში არის ერთ-ერთი ასეთი მცდელობა, რომელიც კონკრეტული საკითხების მოგვარებაში და მიზნებთან მიახლოებაში დაგვეხმარება.

***— რისი გაკეთება შეუძლია უეფას მსგავსი ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად?***

— ფეხბურთი მსოფლიოში სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობად ითვლება და დადებითი ცვლილებების მოსახდენად უდიდესი პოტენციალი აქვს. უეფას მიზანია ეკოლოგიური მდგრადობას მიაღწიოს და ვთვლით, ვალდებულნი ვართ, ამ საქმეში საკუთარი წვლილი შევიტანოთ. რეალისტები უნდა ვიყოთ და აუცილებლად საჭიროა ბალანსის დაცვა იმ საკითხებს შორის, სადაც ფეხბურთს რეალური გავლენის მოხდენა შეუძლია, სადაც ჩვენი გავლენა არაპირდაპირია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი. უამრავი პრობლემაა და მათი გადაწყვეტა მხოლოდ ფეხბურთს არ შეუძლია. თუმცა გვაქვს საშუალება, რომ ამ საკითხში ცნობიერება ავამაღლოთ და კომუნიკაცია უფრო ფართო აუდიტორიასთან გვქონდეს.

***— სოციალურ და ეკოლოგიურ საკითხებში დასახული ამოცანების მისაღწევად რამდენად ითანამშრომლებს უეფა დაინტერესებულ მხარეებთან?***

— ჩვენი მიზანია შესაძლებლობები გავაფართოოთ, რათა კოლექტიური მოქმედება სოციალური და ეკოლოგიური სტაბილურობის მისაღწევად დავაჩქაროთ. თანამშრომლობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შედეგი მხოლოდ ერთიან მუშაობას მოაქვს. ვცდილობთ, მხარი დავუჭიროთ საერთაშორისო ინსტიტუტებს, მთავრობებს და ოთხ მილიარდზე მეტ ფეხბურთის გულშემატკივარს და ოფიციალურ პირებს მთელს მსოფლიოში, რომლებიც გაერთიანებულნი არიან იმ საერთო რწმენით, რომ სტაბილურობა წარმატებული საზოგადოების ფუნდამენტია. სათანადო საფეხბურთო სულისკვეთებით, ჩვენ ვცდილობთ ვიმუშაოთ და ვცდილობთ შევქმნათ ნათელი მომავალი.

***— კიდევ რას გეგმავს უეფა, რათა ფეხბურთი კიდევ უფრო მეტად იყოს სოციალურად პასუხისმგებლიან კლიმატსა და გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით?***

— უეფას ამ კუთხით გრძელვადიანი გეგმები აქვს. ჩვენი სტრატეგიის საბოლოო წერტილად 2030 წელი კი არ განიხილება, არამედ ათვლის წერტილად. ამ პროცესს ინოვაციური მიდგომა სჭირდება. ვიცით, რომ ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ ინვესტიცია მოძველებულ იდეებში შედეგს არ მოგვიტანს. ჩვენი სტრატეგია ითვალისწინებს მკაფიო გადასვლას ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობის ხელშეწყობიდან კონკრეტულ ქმედებებზე. მოხარული ვართ, როცა ვხედავთ ჩვენი საფეხბურთო საზოგადოების გულწრფელ ერთგულებას ამ საერთო მიზნების მიმართ. დარწმუნებული ვარ, რომ მათ შეუძლიათ დაგვეხმარონ საზოგადოების შთაგონებასა და მობილიზებაში.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

# ევროპულ თამაშებზე ელენე ლოლაძემ საქართველოს მედალი შემატა

მესამე ევროპულ თამაშებში მონაწილე საქართველოს ოლიმპიურ გუნდს კიდევ ერთი მედალი შეემატა. ტაილანდურ კრივში (მუაი ტაი) ელენე ლოლაძემ (54კგ) ნახევარფინალური შეხვედრა პოლონელ მარტინა კერჩინსკასთან გამართა. მასპინძელთა ფავორიტმა ქულის სხვაობით გაიმარჯვა – 29:28 და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ლოლაძე კი ბრინჯაოს დასჯერდა.




სადღეისო მონაცემებით ჩვენი გუნდის აქტივში უკვე 5 მედალია: 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

მედლების მეორე კომპლექტები გაითამაშეს მოფარიკავეებმა. ტაურონ არენის დარბაზში ვაჟებმა ამჯერად რაპირით, გოგონებმა კი დაშნით იასპარეზეს. საქართველოს გუნდს აქ პირველი ოქროს მედალი სანდრო ბაზაძემ მოუტანა, თუმცა ამჯერად ჩვენი გუნდი უმედლოდ დარჩა.

პირველად გოგონათა ასპარეზობა დაიწყო: მე-2 ჯგუფში იასპარეზა ანასტასია სპასმა, რომელმაც სამ მეტოქეს სძლია და სამთან თავად დამარცხდა; მე-3 ჯგუფში გამოვიდა თამილა მურიდოვა – ორი გამარჯვება და ოთხი მარცხი; მე-5 ჯგუფში ვიხილეთ მაია გუჩმაზოვა, რომელმაც ასევე ორი დაპირისპირება მოიგო, ოთხი კი წააგო; მე-6 ჯგუფში იბრძოლა არინა კორნეევამ და საუკეთესო შედეგიც აჩვენა – ოთხი მოგება და ორი წაგება.

ფლეი ოფში კორნეევამ, გუჩმაზოვამ და სპასმა იასპარეზეს, მაგრამ საწყის ეტაპს ველარ გასცდნენ.

რაპირისტ ვაჟთა შორის ლუკა ლაღანიძემ (მე-8 ჯგუფი), ლაშა გალუაშვილმა (მე-9) და არჩილ უგულავამ (მე-10) იბრძოლეს. ამ სამეულიდან ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე უკეთ გალუაშვილი გამოვიდა, რომელმაც ექვსიდან ხუთ მეტოქეს სძლია. უგულავამ ერთადერთი დაპირისპირება მოიგო, ლაღანიძემ კი ორი და ფლეი ოფში კი გავიდა, მაგრამ იქ დამარცხდა.

ფლეი ოფის პირველი წრე ლაშა გალუაშვილმა დაძლია, რომელმაც ურთულეს დაპირისპირებაში 15:14 დაამარცხა ისრაელის გუნდის წევრი როი ელიაჰუ როზენფელდი. ლაშას მომდევნო მეტოქე ჩეხი ალექსანდერ ჩუპენიჩი გახლდათ. შეხვედრა მეტოქის გამარჯვებით დასრულდა.

ნოვი ტარგში მოკრივეთა ტურნირი გრძელდება: 54კგ წონითი კატეგორიის მერვედფინალში ანი ხუნჯუა რუმინელ ლენუტა ლაკრამიო პერიჟოკს შეხვდა. გამარჯვება მეტოქეს დარჩა – 0:5.

შვიდკაცა რაგბში საქართველოს ნაკრებმა მეოთხედფინალური მატჩი პორტუგალიასთან ითამაშა და დიდი ანგარიშით წააგო – 5:31.

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები გუნდი მე-5-8 ადგილებისთვის იბრძოლებს. პირველი მეტოქე გერმანიაა. გამარჯვებული მე-5 ადგილისთვის ბელგია-იტალიას შორის მოგებულს დაუპირისპირდება.

რზეშოვის აუზში წყალში მხტომელებმა მეტრიან ტრამპლინზე იასპარეზეს. საკვალიფიკაციო ეტაპის 31 მონაწილეს შორის ორი ქართველიც იყო. თორნიკე ონიკაშვილი 265.75 ქულით 25-ე ადგილზე გავიდა, ირაკლი საკანდელიძემ კი 243.90 ქულით 30-ე ადგილი დაიკავა. მედლებისთვის ბრძოლა თორმეტი უმაღლესი შედეგის მქონე სპორტსმენმა განაგრძო.

თანამედროვე ხუთჭიდში ორი მონაწილე გვყავდა: გაგა ხიჯაკაძე და გიორგი ცხადაძე. შედარებით უკეთ იასპარეზა გაგა ხიჯაკაძემ და პირველი დღით გათვალისწინებულ დისციპლინებში 1175 ქულა მოაგროვა, რაც მე-20 შედეგი იყო. ცხადაძე 1068 ქულით 27-ე ადგილზე გავიდა. ამით მათ მედლისთვის ბრძოლა დაასრულეს.

# 18 წლამდე ნაკრები მზადებას ლატვიიდან იწყებს




საქართველოს 18 წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო. ირაკლი ძიძიგურის ხელმძღვანელობით, რომლის ასისტენტებიც ნიკა მეტრეველი და ანდრო ანთელიძე არიან, 50-ზე მეტი კანდიდატი გამოიცადა, საიდანაც 16 შეირჩა და სწორედ ამ შემადგენლობით გაემგზავრა ნაკრები უცხოურ შეკრებაზე.

საქართველოს ნაკრები ევროპის 18-წლამდელთა ბ დივიზიონისთვის ემზადება, რომელიც 21-დან 30 ივლისის ჩათვლით პორტუგალიის ქალაქ მატოსინოში ჩატარდება. დივიზიონში 22 ქვეყნის ნაკრებია თავმოყრილი, რომლებიც 4 ჯგუფში არიან გადანაწილებულნი. შექმნილია 2 ხუთ და 2-იც ექვსგუნდიანი ჯგუფი. საქართველო ბ ჯგუფშია, სადაც მეტოქეებად სლოვაკეთი (21 ივლისი), უნგრეთი (22 ივლისი), ალბანეთი (23 ივლისი), მონტენეგრო (25 ივლისი) და ბოსნია (26 ივლისი) ჰყავს.

22 ნაკრები დივიზიონის 3 მოწინავე ადგილის დასაკავებლად იბრძვის, რადგან მომავალი წლის ა დივიზიონის საგზურები სწორედ ფინალისტებს და მე-3 ადგილის მფლობელს ერგებათ. გათამაშების ფორმატის თანახმად, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ჯგუფის 2-2 საუკეთესო გუნდი განაგრძობს, რომლებიც მეოთხედფინალში დაწყვილდებიან. შესაბამისად, თუკი საქართველო ფლეი ოფში გავა, მეოთხედფინალში და ნახევარფინალში მეტოქედ ა ჯგუფის (ავსტრია, ისლანდია, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია). წარმომადგენლები ეყოლება.

პირველი ქვეყანა, სადაც საქართველოს ნაკრები შეკრებაზე გაემგზავრა, ლატვიაა. ძიძიგურის გუნდი ლატვიაში 26 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით დარჩება და ვარჯიშებთან ერთად 4 საკონტროლო მატჩს გამართავს: 29 და 30 ივნისს ლატვიასთან და 4 და 6 ივლისს უკრაინასთან).

ლატვიიდან საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ფინეთში გადავა, სადაც 9-10 ივლისს ამ ქვეყნის ნაკრებს ორჯერ დაუპირისპირდება და 11 ივლისს ესტონეთში გადაინაცვლებს. ქართველებს ესტონეთთანაც 1 შეხვედრა აქვთ დაგეგმილი – 14 ივლისს. ძიძიგურის გაწვრთნილი გუნდი საქართველოში 16 ივლისს დაბრუნდება და 20-ში გეზს პორტუგალიისკენ, ფიბას ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში საასპარეზოდ აიღებს.

**ჩვენი გუნდის შემადგენლობა ასეთია:** ლუკა ალავიძე, ნიკოლოზ აბულაძე, თენგიზ გოგიშვილი, გეგა წულაია, გურამ ცხადაძე, ალექსანდრე დაუშვილი, შალვა მეუნარგია, საბა სალაძე, თემურ კაპანაძე, საბა ნარიმანიძე, ავთანდილ ბახტაძე, ანრი ბელთაძე, ნიკოლოზ გურგენიძე, საბა ბეროშვილი, ირაკლი ახალაია, ამირან აროშიძე.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. სატუსაღო თბილისში; 6. ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩამწერი; 9. ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 11. აეროპორტი ბუქარესტში; 15. შეკითხვაზე, რომის იმპერატორის პასუხი, რომელსაც კანონის ძალა ჰქონდა; 16. დაქირავებული კავალერი; 17. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 19. მიწის თხილი; 21. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყნებში მეფის მცირეწლოვანების გამო; 22. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი.

**თარაზულად:** 5. კამერული მუსიკის ჟანრი; 7. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, გამოხატული ქცევაში ან ლაპარაკში; 8. მთიანეთი აფრიკაში; 10. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 12. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 13. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 14. დანიელი მეზღაპრე; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. ფულის ერთეული ერაყში; 23. თავისსავე ქონში ჩახრაკული საქონლის გულ-ღვიძლისაგან მომზადებული კერძი; 24. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 25. სამკურნალო საცხი; 26. საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 27. სამართლებრივი მდგომარეობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქლიბაძე; 2. ბულბული; 3. ნიაღვარი; 4. ლევილი; 5. ბონდერი; 8. მიჩმანი; 9. ნუცორიში; 12. ჰელვეცია; 13. უდინეზე; 16. სარასატე; 17. რადიუმი; 19. ამპლუა; 20. არლანი.

**თარაზულად:** 6. ალტრუიზმი; 7. მეეზოვე; 8. მულამი; 10. პარკუჭი; 11. პერუ; 14. ბადაგონი; 15. ალაშვილი; 18. ხარები; 21. მაზანდა; 22. ბრიხი; 23. არაგვი; 24. კეტაშვილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პერესი; 2. ვოლგა; 3. უსიერი; 4. სკოპიე; 6. გუდაუთა; 9. გუელი; 11. ბულემია; 15. ამარკორდი; 16. ოაზისი; 17. ნუვორიში; 19. ოლსტერი; 21. სოპრანო; 22. ბეშუმი.

**თარაზულად:** 5. ვერდილიო; 7. ურთხელი; 8. თოფაძე; 10. ყუმბარა; 12. იუანი; 13. კრუსი; 14. ბალკანეთი; 18. ანეტო; 20. ხანუკა; 23. ნესკრა; 24. პუმა; 25. პასივი; 26. მუდო; 27. უნგრეთი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


28 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6284

ევრო — 2.8663

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3439

100 რუსული რუბლი — 3.1057




ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარკუს რეშფორდი მანჩესტერ იუნაიტედის დატოვებას არ აპირებს

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის გუნდიდან წასვლას არ აპირებს და მას სჯერა, რომ მანჩესტერ იუნაიტედს აქვს დიდი პოტენციალი და შეუძლია ტიტულების მოგება: „მჯერა, რომ მანჩესტერში ბევრი წარმატება მელოდება და ეს გუნდი ძალიან მიყვარს, ამიტომ ვიცი, რომ არ უნდა წავიდე. რამდენიმე წლის შემდეგ რა მოხდება, არ ვიცი და ამაზე საუბარი არ შემიძლია“.

## მესის დებიუტი ინტერ მაიამიში ივლისის ბოლოს შედგება



ლიონელ მესის დებიუტი თავის ახალ გუნდში ინტერ მაიამიში, სავარაუდოდ, ივლისის მეორე ნახევარში შედგება და მესი მანამდე დასვენებას აპირებს, რადგან მას რთული სეზონი ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ დეკემბერში მესიმ პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინტერ მაიამი ცუდ ფორმაშია და მათ ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა წააგეს.

## ხვიჩა კვარაცხელიას შეძენა ნიუკასლს სურს

ნიუკასლი ხვიჩა კვარაცხელიას შეძენით დაინტერესდა და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინგლისელები მზად არიან ამ ტრანსფერში 80 მილიონი გადაიხადონ, კვარაცხელიას კი მაღალი ხელფასი შესთავაზონ. ნიუკასლმა ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და მათ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს. კვარაცხელიამ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ის ნაპოლიში ბედნიერია და გუნდის დატოვებას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– პირადობის მოწმობა რომ დაკარგე, არ გეშინია, ვინმემ რომ ისარგებლოს და შენი სახელით კრედიტი გამოიტანოს?

– ჩემი საკრედიტო ისტორიით, ჩემი პირადობით, მე თვითონაც არ მომცემენ კრედიტს.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, დედა რატომ მოიყვანე ცოლად?

კაცი ცოლს მიუბრუნდა და ეუბნება:

– აი, ხედავ, ბავშვსაც კი უკვირს!

•••

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– გუშინ სახლში გვიან ღამით მთვრალი მივედი, გავიხადე, ლოგინში შევძვერი და ცოლს მოვეხვიე.

– ???

– ამ დროს სიდედრის ხმა მესმის: „ლელა მეორე ოთახშია!“

– მერე?

– ასე სწრაფად არასოდეს გამოვფხიზლებულვარ!..

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცი რა ძვირფასო, დღეს შენი საყვარელი ვნახე და დავრწმუნდი, რომ ეს შენი მხრიდან ღალატი კი არა, გმირობაა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ნუცა ბუზალაძეს კოლეგების უპატივცემულობაში ადანაშაულებენ





მომღერალ ნუცა ბუზალაძეს **თამუნა გამრეკლიძე** კოლეგების უპატივცემულობაში ადანაშაულებს:

– პირველი შემთხვევაა, როდესაც შეგნებულად არ ვწერ ხისტად ნუცა ბუზალაძეზე. შვილის ტოლია და ზოგადად არ მიმაჩნია სწორად ახალგაზრდების ძაგება. ერთს ვიტყვი, ნუცას აქვს ლაივში შესანიშნავი ხმა, მაგრამ არ იცის კოლეგების პატივისცემა, ჯერ კიდევ ეიფორიაშია ან ეგოისტია. ბევრი მინახავს შესანიშნავი ხმით ზენიტშიც და შემდეგ გართხმული ისე, რომ კონცერტში რიგითად ჩასმას იხვეწებიან.

მოკლედ, ვინც ესწრებოდით კონცერტს, მიმიხვდებით, დავით ღვინიანიძის გამოსვლისას რა შეცდომაც დაუშვა. რაც შეეხება დათოს, მართლაც პროფია მისი საქმის, სცენაზე არც დაიბნა და მიუხედავად ნახევრად მსხდომი დარბაზისა, მან შეძლო ხელში აეყვანა სიტუაცია და ფაქტიურად მსმენელმა მასთან ერთად იმღერა.

ორი სიტყვით აგიხსნით, რაც მოხდა: ნუცამ დაასრულა სიმღერა, მერე სცენიდან ხალხს სთხოვა ფოტოები გადავიღოთო, ჩაიმუხლა სცენაზე და ხალხი ფონად გააკეთა, 3-ჯერ მის ჭკუაზე ატარა ეს მისთვის ადვილად ასაგდები მსმენელი. ახლა ასე გადავიღოთ, ახლა ისეო. სახლში მეგონა თავი. წამყვანმა გამოაცხადა მომდევნო მომღერალი და როგორც კი ღვინიანიძემ სცენაზე ფეხი დადგა, ნუცამ იკივლა, ახლაო ჩამოვალ დარბაზში და გადავიღოთო. ჩამოხტა, ხალხის ნახევარი დაესია და ფაქტიურად ჩაუგდო დათო ღვინიანიძეს სიმღერა. ეს რავარი მოსკოვებგამოვლილი შებერტყილოვსკია, სიტუაცია მორულა და ჩემი კომპლიმენტები გადაეცით მას.

ვერაფერს ვიტყვი, არ ვიტყვი ნუცაზე, უბრალოდ, ვინმემ ურჩიოს, არ ვარგა ეს. სულ ბოდიშის რეჟიმში, იმედია, არ მოუწევს ცხოვრება.

**დავით ღვინიანიძე:**

– ვეცადე, ამ გოგოზე, მაშინ, როცა საჭირო იყო, არაფერი დამეწერა! უბრალოდ ჩავთვალე, ჩემგან არ იქნებოდა ლამაზი კოლეგის გაკრიტიკება, იმ წარმატების შემდეგ, რომელიც ნუცა ბუზალაძეს „ამერიკან აიდოლში“ მონაწილეობამ მოუტანა!

27 მაისს ნიუ იორკში ქართული სათვისტომოს მიერ ჩატარებულმა კონცერტმა უამრავ ცნობილ ქართველ ემიგრანტსა და მოწვეულ სტუმრებს თავი მოუყარა, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად! მეც მქონდა პატივი, მემღერა რევაზ ლაღიძის უკვდავი სიმღერა თბილისზე. ნუცაც, ნამდვილად დამსახურებული წარმატების შემდეგ ამერიკაში, მონაწილეობას იღებდა ამ საზეიმო კონცერტში! ახალგაზრდა მომღერლის აბსოლუტურად შოკისმომგვრელ, ამპარტავნულ საქციელს საზღვარი არ გააჩნდა იმ დღეს! ეს იყო სრული იმ გამოთქმის დემონსტრაცია, რასაც ჰქვია „უნახავმა რა ნახაო“. ჯერ კულისებში დარბაზის გავლით დაგვიანებული შემობრძანება კონცერტის მსვლელობის დროს, უკვე იყო მაყურებლის აბუჩად აგდება და დაუფასებლობა. დავიწყოთ ამ წვრილმანით...

შემდეგი არასასიამოვნო ეპიზოდი გახლდათ, როდესაც ის გამობრძანდა საკუთარი „პერფონმარსისთვის“ და მაყურებელს აუხსნა,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## სალომე ჯიქია ედიტ პიაფის როლს შეასრულებს



- ქართველი სოპრანო სალომე ჯიქია ლეგენდარული მომღერლის ედიტ პიაფის როლს შეასრულებს.

გენუის კარლო ფელიჩეს თეატრში მაურიციო ფაბრიციოს ოპერა „ედიტი“ დაიდგმება, რომელიც ფენომენალური მომღერლის გარდაცვალებიდან 60 წლისთავს ეძღვნება.

ოპერა „ედიტის“ პრემიერა წლის ბოლოს – დეკემბერში გაიმართება. სალომე ჯიქია ერთადერთი ქართველია, ვინც საოპერო სპექტაკლში მიიღებს მონაწილეობას. მისი თქმით, ეს მისთვის დაუჯერებელია და ამავე დროს უდიდესი პატივია.

## ელენე ახვლედიანის ნამუშევრები წინანდლის მამულში გამოიფინა



გენიალური ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის ნამუშევრები წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმშია გამოფენილი.

ექსპოზიცია წინანდლის მამულმა მარჯანიშვილის თეატრთან თანამშრომლობით განახორციელა. გამოფენაზე მისული დამთვალიერებელი ცნობილი მხატვრის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი დეკორაციების, კოსტიუმების ესკიზებისა და ვიდეომასალის დათვალიერებას შეძლებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ელენე ახვლედიანის ნამუშევრები 2 სექტემბრამდე იქნება წარმოდგენილი.

## ერთი უზარმაზარი ლოკოკინას გამო ქალაქში კარანტინი გამოცხადდა



ამერიკის ქალაქი კარანტინზე დახურეს მას შემდეგ, რაც უზარმაზარი ლოკოკინა ახატინი აღმოაჩინეს.

აღნიშნული შეზღუდვა ფლორიდის შტატის ქალაქ მირამარში ხუთნახევარი კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე შემოიღეს, სადაც, სულ მცირე, ერთი ლოკოკინა შენიშნეს. ამ დროისთვის საგანგებო სამსახურები ტერიტორიის შხამ-ქიმიკატებით დამუშავებას აწარმოებენ, რათა აღკვეთონ ამ სახეობის ხმელეთის მოლუსკის გავრცელება.

ფლორიდის სოფლის მეურნეობის და სამომხმარებლო სამსახურის დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ქალაქის მოსახლეობას შეუძლია თავისუფლად დატოვოს კარანტინის ზონა, თუმცა მათ აკრძალული აქვთ, ამ ზონაში მცენარეული მასალების შეტანა, რომელზეც ჩვეულებრივ შეიძლება აღმოჩნდეს ლოკოკინას კვერცხები. დეპარტამენტის მონაცემებით, ლოკოკინა, რომელმაც სპეციალისტების შეშფოთება გამოიწვია, ქალაქის ტერიტორიაზე ივნისის დასაწყისში გამოჩნდა.

ახატინის სახეობის ლოკოკინა 1960-იან წლებში შეიტანეს ფლორიდაში ჰავაიდან და ის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სოფლის მეურნეობისთვის, ვინაიდან ის 500 მეტი სახეობის მცენარეს ანადგურებს, მათ შორის, ბოსტნეულს და ხილს. გარდა ამისა, ახატინი ისეთი პარაზიტის გადამტანია, რომელიც ადამიანის ტვინს აზიანებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ხელოვნების სასახლის საგანძური საჯაროა

ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმში გამოფენა – „ხელოვნების სასახლის საგანძური“ გაიხსნა.

მუზეუმის საგამოფენო სივრცეში პირველად არის წარმოდგენილი ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების კოლექცია, რომელიც 2021 წელს ხელოვნების სასახლეს გადაეცა.

უნიკალური საგანძური ავარიულ ნაგებობაში იყო განთავსებული, ყოფილი ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის შენობა შალვა დადიანის ქუჩაზე, მუზეუმის კოლექციების გარკვეული ნაწილი ნულოვან სართულზე ინახებოდა, კედლებიდან ბათქაში ცვიოდა და წყალი ჟონავდა.

შარშან კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით, სამუზეუმო ექსპონატების სათანადო დაცვისა და ექსპონირების მიზნით, ხელოვნების სასახლის მომიჯნავედ შეძენილ იქნა შესაბამისი შენობა. ჩატარდა შენობის რემონტი, მოეწყო საფონდო სივრცეები, სამუშაო ოთახები და ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების ყოფილი მუზეუმის კოლექციები სრულად განთავსდა კეთილმოწყობილ, თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებით აღჭურვილ შენობაში.

სწორედ აღნიშნულ საგანძურს მასპინძლობს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზები. ექსპონატები განთავსდა საგანგებოდ რესტავრირებულ სამუზეუმო ვიტრინებში, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში ლატვიელი საზოგადო მოღვაწის, ეთნოგრაფის, მხატვრის, პედაგოგის, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აკრედიტებული ლატვიის რესპუბლიკის საკონსულოს თანამშრომლის იული სტრაუმეს ესკიზების მიხედვით იყო შექმნილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტაძარი ქუთაისში; 2. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 3. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 4. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 12. სამხრეთაფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია; 13. ეზოს დიდი რკინის კარი; 16. სასტუმრო გაგრაში; 17. ხანგრძლივი ღრმა ძილის მდგომარეობა; 19. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 20. აბანოს თანამშრომელი.

**თარაზულად:** 6. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 8. ფრანგი კინორეჟისორი; 10. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 11. თხუნელას მეორე სახელწოდება; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. სპარსელი პოეტი; 21. მსხვილად დაფქვილი სიმინდის მარცვალი; 22. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 23. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ჩაის დეგუსტატორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

